პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР ☆ გამოცემის 33-ე წელი

№ 219 (9379) | კვირა, 14 სექტემბერი, 1952 წ. | ფასი 20 კაპ.

ხვალ იხსნება საქართველოს კ. პ. (ბ) XV ყრილობა.

საქართველოს ბოლშევიკები, მტკიცედ ახორციელებენ რა მუშაობის გარდაქმნას დიდი სტალინის ისტორიული მითითებების საფუძველზე, თავიანთ ყრილობას ეგებებიან მჭიდროდ დარაზმული ჩვენი პარტიის ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის, ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გარშემო.

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
სსრ კავშირის სამხედრო მინისტრისა
№ 95

1952 წლის 14 სექტემბერი — ქალაქი მოსკოვი

ამხანაგო ტანკისტებო და ტანკმშენებლებო!
ამხანაგო ჯარისკაცებო და სერჟანტებო!
ამხანაგო ოფიცრებო და გენერლებო!

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი არმია აღნიშნავენ ტანკისტის დღეს.

მოგესალმებით და გილოცავთ დღესასწაულს — ტანკისტის დღეს.

ვუსურვებ საბჭოთა ტანკისტებსა და ტანკმშენებლებს ახალ წარმატებებს იმ ამოცანების შესრულებაში, რომლებიც მათ დასახული აქვთ კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და პირადად ამხანაგ **სტალინის** მიერ.

ტანკისტის დღის აღსანიშნავად **ვბრძანებ:**

დღეს, 1952 წლის 14 სექტემბერს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში და მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში მიცემულ იქნას სალუტი ოცი საარტილერიო ზალპით.

გაუმარჯოს საბჭოთა ტანკისტებსა და ტანკმშენებლებს!

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხს და მის სახელოვან არმიას!

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას) — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

დიდება ჩვენს დიდ ბელადსა და მასწავლებელს საბჭოთა კავშირის გენერალისიმუს ამხანაგ **სტალინს!**

სსრ კავშირის სამხედრო მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ვასილევსკი.

პირველი ფანკის სამშობლოში

რიგა, 12 სექტემბერი. (საკადსი). ლატვიაში ფართოდ გაჩაღდა მზადება ტანკისტების დღისათვის. რიგის საწარმოებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში ეწყობა მომავალი დღესასწაულისადმი მიძღვნილი ლექციები, მოხსენებები და საუბრები. მოეწყო მშრომელთა შეხვედრები დიდი სამამულო ომის გმირებთან.

რიგა მსოფლიოში პირველი ტანკის სამშობლოა. აქ 1915 წელს რუსი ინჟინრების ჯგუფმა აგო მუხლუხა სვლის ჯავშნიანი მანქანა, რომელსაც ჰქონდა თანამედროვე ტანკის ძირითადი თვისებანი. სამამულო ტანკმშენებლობის ისტორიას და დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა ტანკისტების სახელო საქმეებს მიუძღვნა გამოფენები ქალაქის კლუბებსა და ბიბლიოთეკებში.

ტანკისტების დღესასწაული ლატვიაში აღინიშნება ავტომოტოკროსებით და სხვა სპორტული შეჯიბრებებით.

მხატვრული თვითმოქმედების ადგილობრივი დათვალიერება

მხატვრული თვითმოქმედების იდეურ-მხატვრული დონის შემდგომი ამაღლების მიზნით საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით მიმდინარე წლის ოქტომბერ-ნოემბერში რესპუბლიკაში ტარდება მხატვრული თვითმოქმედების ადგილობრივი დათვალიერება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის სისტემის, პროფესიული კავშირებისა და კოლმეურნეობების კულტურის სახლებთან, კლუბებთან და სოფლის სამკითხველოებთან არსებული მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები.

კოლმეურნეობებში, საწარმო-დაწესებულებებში, კულტურის სახლებსა და კლუბებში დათვალიერება ჩატარდება 1 ოქტომბრიდან 20 ოქტომბრამდე, ხოლო სარაიონო და საქალაქო დათვალიერებები—20 ოქტომბრიდან 4 ნოემბრამდე.

მხატვრული თვითმოქმედების ადგილობრივი დათვალიერების ხელმძღვანელობისათვის გამოყოფილია რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი ამხანაგების შემადგენლობით: ვ. მელქაძე (თავმჯდომარე), ვ. ხატიაშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), ა. გიორგაძე, (თავმჯდომარის მოადგილე), გ. ფირცხალავა, ვ. ჭიაურელი, პ. კანდელაკი, ი. დოლიძე, გ. კოკილაძე, გ. ბანძელაძე, ს. ჭილაია, გ. ჩხიკვაძე, დ. ჯავრიშვილი, ი. ახვლედიანი (საორგანიზაციო კომიტეტის მდივანი).

ასს რესპუბლიკებში, ოლქებში, ქალაქებსა და რაიონებში მოეწყობა დამთვალიერებელი კომისიები.

შედეგი მხატვრული თვითმოქმედების ადგილობრივი დათვალიერების რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა, რომელმაც განიხილა და დამტკიცა სამუშაო გეგმა და დებულება მხატვრული თვითმოქმედების ადგილობრივი დათვალიერების ჩატარების შესახებ.

საორგანიზაციო კომიტეტს გადაწყვეტილებით ადგილებზე დახმარების გასაწევად მიეწვნენ იქნებიან სპეციალისტები და კულტურულ-საგანმანათლებლო დარგის მუშაკები.

გეგმების შესრულება

ორჯონიკიძის რაიონმა 12 სექტემბრისათვის 102 პროცენტით შეასრულა ბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა.

პარკის დამზადება გრძელდება.

* * *

ლაგოდეხის რაიონმა 11 სექტემბრისათვის 100,9 პროცენტით შეასრულა თივის დამზადების წლიური გეგმა.

თივის დამზადება გრძელდება.

ტ ა ნ კ ი ს ტ ი ს დ ღ ე

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები ზეიმით აღნიშნავენ ტრადიციულ დღესასწაულს — ტანკისტის დღეს. ამ დღეს ჩვენი ძლევამოსილი ქვეყნის მშრომელები, მსოფლიოს მილიონობით უბრალო ადამიანები, მთელი პროგრესული კაცობრიობა უდიდესი მადლიერების გრძნობით მოიგონებენ საბჭოთა ტანკისტების დამსახურებას ჰიტლერული გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის განადგურების საქმეში, მსოფლიო ცივილიზაციის ხსნის საქმეში.

საბჭოთა ჯავშანსატანკო და მექანიზებული ძალების შექმნა მჭიდროდ დაკავშირებულია დიდი სტალინის სახელთან. გენიალურად შეაფასა რა სატანკო ძალების მნიშვნელობა თანამედროვე ომში, ამხანაგმა სტალინმა შექმნა და გამოაწრთო ისინი მტრის წინააღმდეგ მრისხანე ძალად. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა ტანკისტებმა თვალსაჩინო როლი შეასრულეს ჰიტლერული არმიის განადგურების საქმეში და უჭკნობი გმირობის შარავანდედით შეიმოსეს სახელი.

წელს ტანკისტის დღეს ჩვენი ხალხი უმაგალითო პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობის ვითარებაში აღნიშნავს. წარმატებით შეასრულეს რა ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმის დავალებანი, ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა ფართო ფრონტით გააჩაღეს მუშაობა კომუნიზმის დიად მშენებლობებზე და მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვება მოიპოვეს. ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენმა ხალხმა ზეიმით აღნიშნა კომუნიზმის დიად მშენებლობათა პირმშოს — ვოლგა-დონის სანაოსნო არხის გახსნა. საბჭოთა ხალხი უდიდესი აღფრთოვანებით გამოეხმაურა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას პარტიის XIX ყრილობის მოწვევის შესახებ, პარტიისა, რომელიც ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია.

თავისი მშობლიური პარტიის, საყვარელი მამისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გარშემო მჭიდროდ დარაზმული საბჭოთა ადამიანები მშვიდობიანი, შემოქმედებითი შრომით განამტკიცებენ სოციალისტური სამშობლოს პოლიტიკურ და ეკონომიურ ძლიერებას და მტკიცე რწმენით მიდიან წინ — კომუნიზმისაკენ.

ჩვენი ხალხის მშვიდობიან შრომას ფხიზელ გუშაგად უდგანან საბჭოთა შეიარაღებული ძალები, საბჭოთა ჯავშანსატანკო და მექანიზებული ნაწილების მამაცი მებრძოლები, რომლებიც გარემოსილი არიან მშრომელთა უსაზღვრო სიყვარულითა და პატივისცემით.

ბუნებრივია საბჭოთა ხალხის სიყვარული თავისი მამაცი არმიისადმი. საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა, საბჭოთა ტანკისტებმა დიდი სამამულო ომის პერიოდში, ჩვენი ხალხის მთელი მატერიალური და სულიერი ძალების მკაცრი გამოცდის დღეებში, ბრწყინვალედ შეასრულეს უმაღლესი მთავარსარდლის ყველა ბრძანება და გეგმა. საბჭოთა ტანკისტების სახელთან მჭიდროდ დაკავშირებულია მოსკოვთან და სტალინგრადთან, კურსკთან და ორიოლთან მტრის განადგურების სტალინური გეგმის განხორციელება. ომის მსვლელობაში საბჭოთა ტანკისტებმა, ყველა გვარეობის ჯარებთან თანამოქმედებით, გვიხვენეს სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების, გმირობისა და მამაცობის უჭკნობი ნიმუშები.

მეორე მსოფლიო ომში უდიდესი დამარცხება განიცადა კაპიტალისტურმა სამყარომ. ჩაიფუშა მტრების ვარაუდები, რომ ომი სუსტსა და უძლურს გახდიდა ჩვენს ქვეყანას. ომიდან საბჭოთა კავშირი კიდევ უფრო ძლიერი და ძლევამოსილი გამოვიდა. უმაგალითოდ ამაღლდა მისი საერთაშორისო ავტორიტეტი. წარმოიშვა დემოკრატიისა და სოციალიზმის ახალი ძალები — სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, რომლებიც იზრდებიან და ვითარდებიან სოციალიზმის გზით.

საბჭოთა კავშირის და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ძლევამოსილი განვითარება იწვევს რეაქციისა და იმპერიალისტური ბანაკის გაცოფებას. ამერიკა-ინგლისის აგრესიული ძალები, რომლებსაც ეშინიათ მშვიდობის მზარდი ძალების გაძლიერებისა, ცდილობენ სიცრუის ქსელში გახვიონ თავიანთი ხალხები, ომი, რომელსაც ისინი ამზადებენ, წარმოადგინონ როგორც თავდაცვითი ომი, ხოლო მშვიდობისმოყვარე ქვეყნების სამშვიდობო პოლიტიკა, როგორც აგრესიული პოლიტიკა. ისინი ქმნიან სამხედრო ბლოკებს, აღადგენენ დასავლეთ გერმანიისა და იაპონიის სამხედრო ეკონომიკას, ეწევიან უაჩაღურ, ავანტიურ ომს გმირი კორეელი ხალხის წინააღმდეგ.

მაგრამ ხალხები თავს არ მოატყუებინებენ რეაქციულ ძალებს. მათ არა სურთ ომი. არა სურთ თავიანთი სიცოცხლის, გაჩანაგების, გაღატაკების ფასად, თავიანთი შვილების სისხლის ფასად იმპერიალისტებს მისცენ ახალი ზემოგების მიღებისა და ქვეყნების ძარცვის შესაძლებლობა. თანდათან იზრდება და ფართოვდება მშვიდობის ბანაკი. მშვიდობისათვის მოძრაობის ავანგარდშია ჩვენი დიადი სამშობლო — საბჭოთა კავშირი. მშვიდობის, ხალხთა შორის ძმური თანამშრომლობის მედროშეა დიდი სტალინი.

მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების სადარაჯოზე მტკიცედ დგას საბჭოთა არმია, ჩვენი ქვეყნის შრომელთა მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის საიმედო გუშაგი. საბჭოთა არმიის მებრძოლები, ისე როგორც მთელი ჩვენი ხალხი, ფხიზლად ადევნებენ თვალყურს მსოფლიო აგრესიული ძალების მოქმედებას და არასოდეს არ ივიწყებენ კაპიტალისტური სამყაროს არსებობას, ომის საფრთხეს. ამიტომ არის, რომ ჩვენი ხალხი გმირულად და ძალების დაუზოგავად შრომობს, რათა კიდევ უფრო ძლიერი და ძლევამოსილი გახადოს სოციალისტური სახელმწიფო — მშვიდობის მტკიცე ბურჯი, ამიტომ არის, რომ საბჭოთა არმიის მეომრები, მისი ჯავშანსატანკო და მექანიზებული ძალები ყოველდღიურად სრულყოფენ თავიანთ საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებას.

საბჭოთა ხალხი თავისი შემოქმედებითი შრომით ხორცს ასხამს კომუნიზმის მშენებლობის დიად სტალინურ პროგრამას და მტკიცე რწმენით მიდის წინ კომუნიზმისაკენ. მის შრომას ფხიზლად სდარაჯობენ და იცავენ საბჭოთა შეიარაღებული ძალები, საბჭოთა ტანკისტები.

საქართველოს კ. პ. (ბ) XV ყრილობა

ხვალ თბილისში მუშაობას იწყებს საქართველოს კ. პ. (ბ) XV ყრილობა. ეს დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოს კომპარტიის, მთელი ქართველი ხალხის ცხოვრებაში.

XV ყრილობა იკრიბება დიად ისტორიულ დღეებში, როდესაც მთელ ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებულია მზადება მშობლიური კომუნისტური პარტიის XIX ყრილობისათვის. კომუნისტები და მშრომელთა ფართო მასები უდიდესი აქტივობით იხილავენ ყრილობის ისტორიულ დოკუმენტებს. ყრილობისათვის მზადების უმაგალითო გაქანება, მშრომელთა მძლავრი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობა ბოლშევიკური პარტიისადმი, მშობლიური ბელადისა და მამის ამხანაგ სტალინისადმი საბჭოთა ხალხის უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების ბრწყინვალე გამოხატულებას წარმოადგენს.

საბჭოთა ხალხი თავისი მებრძოლი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის ბრძნული წინამძღოლობით გამარჯვების მტკიცე რწმენით მიდის წინ, კომუნიზმისაკენ.

თვალსაჩინო მიღწევებით ხვდებიან XV ყრილობას სოციალისტური მრეწველობის მუშაკები. ჩვენი რესპუბლიკის საწარმოები გასულ წელთან შედარებით წელს უფრო მეტ და საუკეთესო ხარისხის პროდუქციას იძლევიან. ამასთან, ახლა რესპუბლიკის მრეწველობა უშვებს პროდუქციის მთელ რიგ ახალ, რთულ და ჩვენი ქვეყნისათვის დიდმნიშვნელოვან სახეებს, როგორიც არის მთლიანნაგლინი უნაწიბურო მილები, თვითსაცლელი ავტომანქანები „კაზ-585-ბ“, ახალი ტიპის ლითონდამმუშავებელი ჩარხები და მრავალი სხვა.

საქართველოს ბოლშევიკები, რომლებიც ამხანაგ ლ. პ. ბერიას მიერ დიად სტალინურ ტრადიციებზე აყიან აღზრდილნი, წარმატებით სძლევენ დიდ და პასუხსაგებ ამოცანას — უახლოეს მომავალში უზრუნველყონ რესპუბლიკა საკუთარი წარმოების პურით, მიაღწიონ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ახალ აღმავლობას.

ჩვენი რესპუბლიკის წარმატებანი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში კიდევ უფრო დიდი და მნიშვნელოვანი იქნებოდა, ადგილი რომ არ ჰქონოდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობის მუშაობის მანკიერ სტილს. ცნობილია, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობისა და პირველ რიგში მისი ყოფილი პირველი მდივნის კ. ჩარკვიანის მიერ დაშვებულმა უხეშმა შეცდომებმა და ხელმძღვანელობის მანკიერმა სტილმა სერიოზული პოლიტიკური ჩავარდნები გამოიწვია და დიდი ზიანი მიაყენა ჩვენი მუშაობის ყოველ დარგს, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობას.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობა არღვევდა მასებთან პარტიის განუყოფელი კავშირის, კადრების შერჩევისა და განაწილების, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლის ლენინურ-სტალინურ პრინციპებს. მის მუშაობაში გაბატონებული იყო უდარდელობისა და პირადული კეთილდღეობის განწყობილება, რაც წარმოშობდა ნაკლოვანებებისადმი არაკრიტიკულ დამოკიდებულებას, ობივატელურ გულდამშვიდებასა და პოლიტიკური სიფხიზლის მოდუნებას.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა საფუძველზე საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გასწიეს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებისა და საბჭოთა კანონიერების დარღვევათა ლიკვიდაციის, მექრთამეობასთან და სახელმწიფო სახსრების მითვისებასთან, გამომძალველობასა და სპეკულაციასთან ბრძოლის დარგში, სპობენ და ძირშივე კვეთენ ასეთი მოვლენების წარმოშობის მიზეზებს.

ჩვენი რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ, რომელიც შეიარაღებულია პარტიის ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის ისტორიული გადაწყვეტილებებით, ბევრი რამ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობის მუშაობის მანკიერი სტილის შედეგების აღმოსაფხვრელად, მთელი მუშაობის ახლებურად გარდაქმნელად. საქართველოს ბოლშევიკები და მთელი ქართველი ხალხი უსაზღვროდ მადლობელი არიან საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა, პირადად ამხანაგ სტალინის მშობლიური მზრუნველობისა, რომელთაც ბრძნული გამჭრიახობით გამოამჟღავნეს ნაკლოვანებანი და პოლიტიკური შეცდომები სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობაში, დასახეს მთელი მუშაობის გარდაქმნის გზები.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ცხოვრება სულ უფრო სისხლსავსე ხდება. ისინი განუხრელად ახორციელებენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებს, დიდი სტალინის პირად მითითებებს. ყველგან დაწინაურებული არიან პარტიისადმი, ამხანაგ სტალინისადმი ბოლომდე ერთგული ადამიანები. მაგრამ რაც გაკეთდა, ის მხოლოდ დასაწყისია. პარტიულ ორგანიზაციებს კვლავ მოელით უდიდესი ორგანიზატორული მუშაობა ყველა უმდიდრეს შესაძლებლობათა მთლიანად გამოყენებისათვის, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკას მოეპოვება მუშაობის ბოლომდე გარდაქმნისათვის.

საქართველოს ბოლშევიკების, ყველა მშრომელის წინაშე დგას ახალი დიდი ამოცანები, რომლებიც პარტიის XIX ყრილობის ისტორიული დოკუმენტებიდან გამომდინარეობს. საყრილობო მასალების განხილვაში მშრომელთა ფართო მასების აქტიური მონაწილეობა ავლენებს ახალ ძალებსა და რეზერვებს, ზრდის მთელი ქართველი ხალხის მისწრაფებას — ბოლშევიკურად განახორციელოს მეხუთე სტალინური ხუთწლედის დავალებანი.

კომუნისტთა მაღალი პოლიტიკური აქტივობით, ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებმა, რაიონულმა, საქალაქო და საოლქო პარტიულმა კონფერენციებმა. დელეგატებმა გაბედულად ამხილეს მუშაობის ნაკლოვანებანი, განაზოგადეს ახლებურად მუშაობის გარდაქმნის პირველი გამოცდილება, ერთსულოვნად მოიწონეს მასალები პარტიის XIX ყრილობისათვის და ისინი თავიანთი მუშაობის საბრძოლო პროგრამად მიიღეს.

საქართველოს კ. პ. (ბ) XV ყრილობა ლენინ-სტალინის საქმისადმი ქართველი ბოლშევიკების, მთელი ქართველი ხალხის უსაზღვრო ერთგულებისა და თავდადების ახალი ძლავრი დემონსტრაცია იქნება.

საქართველოს კ. პ. (ბ) XV ყრილობის დელეგატთა საყურადღებოდ

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი იუწყება, რომ

საქართველოს კ. პ. (ბ) XV ყრილობა

გაიხსნება ხვალ, 1952 წლის 15 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე
რუსთაველის სახელობის თეატრის შენობაში.

ყრილობის დელეგატებზე მანდატების გაცემა იწარმოებს დღეს დილის 11 საათიდან საღამოს 10 საათამდე და ხვალ. 15 სექტემბერს, დილის 11 საათიდან დღის 4 საათამდე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის შენობაში (შიო ჩიტაძის ქუჩა № 2).

საორგანიზაციო კომისიის ტელეფონები: 3-62-20, 3-60-24, 3-06-03.

ლენინ-სტალინის პარტიის XIX ყრილობისადმი

კიდევ უფრო ავამაღლოთ პარტიის წევრის სახელწოდება

გ. გეგეშიძე,

საქართველოს კ. პ. (ბ) რუსთავის საქალაქო კომიტეტის მდივანი.

მეტალურგთა ქალაქში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ქვეყანაში, ფართოდ გაჩაღდა მზადება პარტიის XIX ყრილობისათვის. პარტიული მასები გულდასმით სწავლობენ მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დირექტივებისა და პარტიის შეცვლილი წესდების პროექტებს.

პარტიის XIX ყრილობის დოკუმენტები მშრომელთა ფართო მასების ერთსულოვან მოწონებას იმსახურებენ. ეს დოკუმენტები ასახავენ ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცების, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლისა და კომუნიზმისაკენ ჩვენი ქვეყნის ძლევამოსილი წინსვლის დიად პერსპექტივებს.

XVIII ყრილობის შემდეგ კომუნისტურმა პარტიამ სახელოვანი გზა განვლო, იგი უფრო გამოიწრთო ომისწინანდელი წლების მშვიდობიან მშენებლობაში, დიდი სამამულო ომის ქარცეცხლში, ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის წინაშე მდგომი ამოცანების განხორციელებისა და მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში. ამ პერიოდში ჩვენი პარტია შემდგომ გაიზარდა და გაძლიერდა, უფრო მეტი გამოცდილება შეიძინა პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის დარგში, სრულყო ორგანიზაციული ფორმები და პარტიული მუშაობის მეთოდები მის წინაშე მდგომი პოლიტიკური ამოცანების შესაბამისად. სწორედ ეს დაედო საფუძვლად პარტიის შეცვლილი წესდების პროექტს.

პარტიის წინაშე დასახული ახალი ამოცანების წარმატებით განხორციელება მოითხოვს პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის შემდგომ გაძლიერებასა და თვითეული კომუნისტისაგან პარტიის წევრის სახელწოდების ამაღლებას.

ამიტომ არის, რომ პარტიული მასები განსაკუთრებული ყურადღებით ეცნობიან პარტიის შეცვლილი წესდების როგორც სხვა პარაგრაფებს, ისე მესამე პარაგრაფსაც, სადაც ლაპარაკია პარტიის წევრთა მოვალეობაზე. ამ პარაგრაფის წაკითხვისთანავე გვაგონდება დიდი ლენინის სიტყვები: „ჩვენ უნდა ვცდილობდეთ ავიყვანოთ პარტიის წევრის სახელწოდება და მნიშვნელობა უფრო მაღლა, მაღლა და მაღლა...“ „არა არის რა იმაზე უფრო მაღალი, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — ვიდრე პარტიის წევრის სახელწოდება, იმ პარტიისა, რომლის დამაარსებელი და ხელმძღვანელია ამხანაგი ლენინი“. დიდი ბელადების ამ ბრძნულ მითითებათა განხორციელება თვითეული კომუნისტის უპირველესი მოვალეობაა.

პარტიის შეცვლილი წესდების პროექტში ხაზგასმულია, რომ კომუნისტს ევალება მუშაობდეს თავისი შეგნებულობის ასამაღლებლად, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შესათვისებლად.

სამწუხაროდ, რუსთავის საქალაქო პარტიულ ორგანიზაციაში ჯერ კიდევ ყველა კომუნისტი როდი ასრულებს ამ მოთხოვნას. მაგალითად, უმაღლესი განათლების მქონე კომუნისტი ხელმძღვანელი მუშაკები — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის სამშენებლო საამქროს უფროსი ამხ. გ. ენუქიძე, ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის ხისდამმუშავებელი კომბინატის დირექტორი ამხ. ჭუმბურიძე, რკინიგზის სატრანსპორტო კანტორის უფროსის მოადგილე ამხ. ა. ნემსიწვერიძე პარტიის ისტორიის ელემენტარულ საკითხებშიც კი ვერ ერკვევიან.

„პარტიის წევრი მოვალეა, — ნათქვამია პარტიის შეცვლილი წესდების პროექტში,—ყოველდღიურად განამტკიცებდეს კავშირს მასებთან, თავის დროზე ეხმაურებოდეს მშრომელთა მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს, განუმარტავდეს უპარტიო მასებს პარტიის პოლიტიკისა და გადაწყვეტილებათა აზრს, ახსოვდეს, რომ ჩვენი პარტიის ძალა და უძლეველობა ხალხთან მისი სისხლხორცეული და განუყრელი კავშირია“. ზოგიერთი კომუნისტი და, რაც უფრო საძულველია, ზოგიერთი ხელმძღვანელი პარტიული მუშაკი ხშირად ივიწყებს ამ უმნიშვნელოვანეს ძოთხოვნას. ასეთ კომუნისტთა რიცხვს მიეკუთვნება ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის რკინიგზის სატრანსპორტო კანტორის პარტორგანიზაციის ყოფილი მდივანი ლ. სულაქველიძე. იგი მოწყვეტილი იყო მასებს, ბიუროკრატიულად ეკიდებოდა მშრომელთა სამართლიან წინადადებებსა და შენიშვნებს, არ ზრუნავდა მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. სწორედ ამიტომ მან მალე დაკარგა პარტიული მასების ნდობა. კომუნისტებმა იგი აღარ აირჩიეს პარტიული ბიუროს შემადგენლობაში. ასევე დაემართა „რუსთავეაჭრობის“ პარტორგანიზაციის მდივანს გ. ჩიგოშვილს, რომელმაც სათანადოდ ვერ შეაფასა მასებთან კავშირის დიდი მნიშვნელობა.

რუსთავის პარტიულ ორგანიზაციაში კადრების შერჩევისა და განაწილების საქმეში სერიოზული შეცდომები იყო დაშვებული. ხშირად საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ინიშნებოდნენ ისეთი ადამიანები, რომელთა პოლიტიკური და საქმიანი თვისება საფუძვლიანად არ იყო შესწავლილი. მაგალითად, უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ქალაქის საბავშვო სახლში სამჯერ შეიცვალა დირექტორი და სამივე მათგანმა თავისი „მოღვაწეობა“ სახელმწიფო ქონების განიავებით დაასრულა.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ კრიტიკა და თვითკრიტიკა კადრების აღზრდის ბოლშევიკური მეთოდია. წესდების პროექტი პარტიის თვითეული წევრისაგან მოითხოვს ავითარებდეს თვითკრიტიკას და კრიტიკას ქვემოდან, ავლინებდეს ნაკლოვანებებს მუშაობაში და იბრძოდეს მათი აღმოფხვრისათვის. მაგრამ ასე როდი იქცეოდა რუსთავის ერთერთ საწარმოს დირექტორი კ. ქირია. მან თავის ირგვლივ შემოიკრიბა ნაცნობ-მეგობრებისა და თაყვანისმცემელთა ჯგუფი და მთლიანად ჩაუხშო გზა ქვემოდან მომდინარე კრიტიკას. ამ მდგომარეობამ ქირია სახელმწიფო დანაშაულის ჩადენამდე მიიყვანა, რისთვისაც იგი პარტიის რიგებიდან იქნა გარიცხული და სასამართლო პასუხისგებაში მიეცა. „სოიუზეკავკაციის“ ყოფილი უფროსი რუბაჩოვი კრიტიკისადმი უპატივცემლო დამოკიდებულებას იქამდე მიიყვანა, რომ მის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა სამართლიანად მხილებისათვის სამუშაოდან მოხსნა კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი ი. ნუდგა.

პარტიის შეცვლილი წესდების პროექტში ვკითხულობთ: კომუნისტი მოვალეა „იცავდეს პარტიულ და სახელმწიფოებრივ დისციპლინას, რომელიც თანაბრად სავალდებულოა პარტიის ყველა წევრისათვის“. წესდების ამ მოთხოვნის ურყევად გატარება პარტიულ ორგანიზაციებს დაეხმარება პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინის შემდგომ განმტკიცებაში. რუსთავის საწარმოებში ჯერ კიდევ ბევრია სახელმწიფოებრივი და შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები.

უხეშად დაარღვია სახელმწიფოებრივი დისციპლინა, მაგალითად, რუსთავის ქალაქის საბჭოს აღმასკომის სოციალური დაზღვევის უფროსმა ინსპექტორმა ვ. კაჭარავამ. იგი საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სისტემატურად აწვდიდა ფიქტიურ, ხელოვნურად გაზრდილ ცნობებს სახელმწიფო დავალებათა შესრულების შესახებ და ამ გზით უკანონოდ იღებდა პრემიებს. მარტო მიმდინარე წელს კაჭარავამ უკანონოდ მიითვისა, აგრეთვე გასცა დიდი თანხები, რისთვისაც პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ იგი გარიცხა პარტიის რიგებიდან და დააყენა საკითხი მისი პასუხისგებაში მისაცემად.

კომუნისტის ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობაა იყოს პარტიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის აქტიური მებრძოლი. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვხვდებით ისეთ ფაქტებს, როცა კომუნისტთა ერთი ნაწილი არაკეთილსინდისიერად უდგება პარტიული გადაწყვეტილებებისა და მიცემული დავალების შესრულებას. მაგალითად, ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის რკინიგზის სატრანსპორტო კანტორის პარტორგანიზაციის ყოფილი მდივანი ლ. სულაქველიძე. იგი მოწყვეტილი იყო მასებს, ბიუროკრატიულად ეკიდებოდა მშრომელთა სამართლიან წინადადებებსა და შენიშვნებს, არ ზრუნავდა მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. სწორედ ამიტომ მან მალე დაკარგა პარტიული მასების ნდობა. კომუნისტებმა იგი აღარ აირჩიეს პარტიული ბიუროს შემადგენლობაში. ასევე დაემართა „რუსთავეაჭრობის“ პარტორგანიზაციის მდივანს გ. ჩიგოშვილს, რომელმაც სათანადოდ ვერ შეაფასა მასებთან კავშირის დიდი მნიშვნელობა.

რუსთავის პარტიულ ორგანიზაციაში კადრების შერჩევისა და განაწილების საქმეში სერიოზული შეცდომები იყო დაშვებული. ხშირად საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ინიშნებოდნენ ისეთი ადამიანები, რომელთა პოლიტიკური და საქმიანი თვისება საფუძვლიანად არ იყო შესწავლილი. მაგალითად, უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ქალაქის საბავშვო სახლში სამჯერ შეიცვალა დირექტორი და სამივე მათგანმა თავისი „მოღვაწეობა“ სახელმწიფო ქონების განიავებით დაასრულა.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ კრიტიკა და თვითკრიტიკა კადრების აღზრდის ბოლშევიკური მეთოდია. წესდების პროექტი პარტიის თვითეული წევრისაგან მოითხოვს ავითარებდეს თვითკრიტიკას და კრიტიკას ქვემოდან, ავლინებდეს ნაკლოვანებებს მუშაობაში და იბრძოდეს მათი აღმოფხვრისათვის. მაგრამ ასე როდი იქცეოდა რუსთავის ერთერთ საწარმოს დირექტორი კ. ქირია. მან თავის ირგვლივ შემოიკრიბა ნაცნობ-მეგობრებისა და თაყვანისმცემელთა ჯგუფი და მთლიანად ჩაუხშო გზა ქვემოდან მომდინარე კრიტიკას. ამ მდგომარეობამ ქირია სახელმწიფო დანაშაულის ჩადენამდე მიიყვანა, რისთვისაც იგი პარტიის რიგებიდან იქნა გარიცხული და სასამართლო პასუხისგებაში მიეცა. „სოიუზეკავკაციის“ ყოფილი უფროსი რუბაჩოვი კრიტიკისადმი უპატივცემლო დამოკიდებულებამ იქამდე მიიყვანა, რომ მის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა სამართლიანად მხილებისათვის სამუშაოდან მოხსნა კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი ი. ნუდგა.

პარტიის შეცვლილი წესდების პროექტში ვკითხულობთ: კომუნისტი მოვალეა „იცავდეს პარტიულ და სახელმწიფოებრივ დისციპლინას, რომელიც თანაბრად სავალდებულოა პარტიის ყველა წევრისათვის“. წესდების ამ მოთხოვნის ურყევად გატარება პარტიულ ორგანიზაციებს დაეხმარება პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინის შემდგომ განმტკიცებაში. რუსთავის საწარმოებში ჯერ კიდევ ბევრია სახელმწიფოებრივი და შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები.

უხეშად დაარღვია სახელმწიფოებრივი დისციპლინა, მაგალითად, რუსთავის ქალაქის საბჭოს აღმასკომის სოციალური დაზღვევის უფროსმა ინსპექტორმა ვ. კაჭარავამ. იგი საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სისტემატურად აწვდიდა ფიქტიურ, ხელოვნურად გაზრდილ ცნობებს სახელმწიფო დავალებათა შესრულების შესახებ და ამ გზით უკანონოდ იღებ-

ჩვენი ფაბრიკის შესაძლებლობანი და პერსპექტივები

მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დირექტივების პროექტი ახალ დიდ ამოცანებს აყენებს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის წინაშე. იგი ერთიორად აძლიერებს და ზრდის ჩვენი ეკონომიკის წამყვან დარგებს და ქმნის პირობებს სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის დაჩქარებისათვის.

სხვა დარგებთან ერთად ახალ ხუთწლედში მკვეთრად გაიზრდება საფეიქრო მრეწველობაც. პარტიის XIX ყრილობის დირექტივების მიხედვით შალის ქსოვილების გამოშვება გადიდდება 54 პროცენტით.

მნიშვნელოვნად ფართოვდება აგრეთვე თვით შალეულის მრეწველობის ბაზა — მეცხვარეობა. დირექტივების მიხედვით მეცხვარეობის ზრდა გათვალისწინებულია 60-62 პროცენტით.

ნაზმატყლიანი და ნახევრადნაზმატყლიანი მეცხვარეობის ზრდასთან ერთად დირექტივები ითვალისწინებენ თვითეული ცხვრისაგან ნაპარსის გადიდებასაც.

ამგვარად, იქმნება მტკიცე ნიადაგი ნაზი მატყლის შალეულის მრეწველობის შედგომი განვითარებისათვის. ჩვენს რესპუბლიკაშიც,—ელდარის საბჭოთა მეურნეობაში შეიქმნა ბაზა ნაზმატყლიანი მეცხვარეობისათვის. ზოოტექნიკოსმა ბაძოშვილმა დიდი სასელექციო მუშაობის შედეგად მიიღო ნაზმატყლიანი, გრძელბეწვიანი ცხვრის ახალი ჯიში, რომელიც საუკეთესო ნედლეულს მისცემს ჩვენს მრეწველობას.

თბილისის კამვოლ-მაუდის ფაბრიკა კომბინატს წარმოადგენს. აქ წარმოებს ყველა ოპერაცია მატყლის გარეცხვიდან დაწყებული მზა შალისა და მაუდის ქსოვილის მიღებით დამთავრებული. აქ არის მატყლის სარეცხი, მაუდის, კამოლური, სართავი, საქსოვი და სამღებრო-გამომყვანი წარმოებები და საამქროები.

გათვალისწინებულია სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელება, მაუდის წარმოების სრული გარდაქმნა. ადრე დადგმული უხეშმაუდის დამამზადებელი აპარატები შეიცვლება წმიდამაუდის დამამზადებელი დანადგარებით. ამჟამად განხორციელებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი მაუდის ქსოვილის ასორტიმენტის გაკეთილშობილების საშუალებას იძლევიან, მომავალში შევძლებთ გარდა საპალტოე მაუდისა, გამოვუშვათ საკოსტუმეც.

შრომის ნაყოფიერებისა და დაზგადანადგარების ნაყოფიერების გაზრდით, აგრეთვე სამცვლიანი მუშაობის დანერგვით ფაბრიკამ უკვე მიაღწია საპროექტო სიმძლავრეს და მიუახლოვდა ახალი ხუთწლედის ბოლო წლისათვის განსაზღვრულ დონეს.

1955 წელს პროდუქციის გამოშვება 10 პროცენტით გადააჭარბებს საპროექტო სიმძლავრეს, 1950 წელთან შედარებით კი — 50 პროცენტით გაიზრდება.

ჩვენი ფაბრიკის ძირითადი წარმოებაა საქსოვი საამქრო. 1950 წლიდან საქსოვი დაზგების რაოდენობამ რამდენიმე ათეული ცალით მოიმატა. წინა ხუთწლედთან შედარებით დაზგების პარკი გადიდდება 80 პროცენტით. ყველა ახალი მოწყობილობა ავტომატური იქნება. მათი საექსპლოატაციოდ გადაყვანა კიდევ უფრო აამაღლებს როგორც შრომის ნაყოფიერებას, ისე დაზგა-დანადგარების წარმადობას.

ახლა ფაბრიკაში ორჯერ მეტი სართავი და საჩეჩი მანქანაა დადგმული, ვიდრე წინათ იყო. აღსანიშნავია, რომ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი განკუთვნილია ნაზი მატყლის დასამუშავებლად. ეს კი საშუალებას მოგვცემს გავაუმჯობესოთ მაუდის ქსოვილების ასორტიმენტი და ხარისხი.

ახალ ხუთწლედის დავალებათა ანგარიშში ფაბრიკის კოლექტივმა აითვისა მთელი რიგი ახალი ქსოვილები—კარგსახოვანი მასობრივი მოხმარების დრაფი-„10“, იაფფასიანი საკოსტუმე ქსოვილი. ათვისების პროცესშია ტრიკო „გაზაფხული“, უმაღლესი ხარისხის საპალტოე დრაფი „მაიგა“. უახლოეს წლებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მსუბუქწონიანი დრაფების სხვადასხვა სახეების შექმნას და ათვისებას.

მეხუთე ხუთწლედში ნართის წარმოება გაიზრდება 26 პროცენტით, ხოლო ხამი ქსოვილისა—40 პროცენტით, საქსოვი დაზგების რაოდენობა 58 პროცენტით მოიმატებს, თითისტარებისა—38 პროცენტით.

ეს ციფრები მკაფიოდ მეტყველებენ ახალ ხუთწლედში ფაბრიკის საწარმოო სიმძლავრის შემდგომი გადიდების ნათელ პერსპექტივებზე. მათი სწრაფი განხორციელებისათვის მიზანშეწონილად მიმაჩნია ახალი ხუთწლიანი გეგმის დირექტივების პროექტში გათვალისწინებულ იქნას ჩვენს ფაბრიკასთან მოკლებეწვიანი მატყლის კამოლური სართავი ფაბრიკის აგება 10 ათასი თითისტარის რაოდენობით.

ახალი ფაბრიკის აშენება და საექსპლოატაციოდ გადაცემა უზრუნველყოფს მაღალი ხარისხისა და ნომრების შალის ნართის გამოშვებას, მერინოსის მატყლის უკეთ გამოყენებას, ქსოვილების საგრძნობ გაიაფებას, საუკეთესო ხარისხის საკოსტიუმე შალეულის ქსოვას. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ფაბრიკის აგება ჩვენთან ორჯერ უფრო იაფი დაჯდება, რადგან იგი კომბინირებული იქნება ძირითად წარმოებასთან.

პარტიის XIX ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, როგორც მთლიანად წარმოებამ, ისე საამქროებმა, ცვლებმა, ბრიგადებმა და მუშებმა ახალი დიდი ვალდებულებები იკისრეს. მათი შესრულებისათვის მთელი კოლექტივი თავდადებით იბრძვის.

ს. იაკობაშვილი,

თბილისის კამვოლ-მაუდის ფაბრიკის მთავარი ინჟინერი.

გავაფართოოდ ჰიდრომელიორაციული სამუშაოები

მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დირექტივების პროექტი, რომელსაც პარტიის მორიგი, XIX ყრილობა განიხილავს, არის ჩვენი სახელმწიფოს ძლიერებისა და მისი სამშვიდობო პოლიტიკის ახალი დადასტურება.

სიამოვნებით ვუერთებ ჩემს ხმას ჩვენი ქვეყნის მშრომელების ხმას, რომლებიც ერთსულოვნად იწონებენ ახალი ხუთწლედის დირექტივების პროექტს. ამავე დროს მაქვს ორი დამატება პროექტისადმი:

1. დირექტივების პროექტი ითვალისწინებს ცემენტის მრეწველობის სიმძლავრეების გადიდებას 2,1-ჯერ. მიუხედავად ამისა, სამშენებლო სამუშაოთა საერთო მოცულობა ისე უმაგალითოდ იზრდება, რომ მოსალოდნელია ადგილობრივი ხასიათის ჰიდრომელიორაციულმა და საგზაო სისტემებმა, აგრეთვე სხვა სასოფლო-სამეურნეო მშენებლობებმა განიცადონ ცემენტის ერთგვარი ნაკლებობა.

დახურული სარწყავი და დასაშრობი ქსელის მოწყობა, სოფლისა და რაიონული ცენტრების კეთილმოწყობა, წყალსადენების მშენებლობა და რკინაბეტონის ხიდების აგება დიდი რაოდენობით მოითხოვს ცემენტს. ამავე დროს ჩვენი ქვეყნის მრავალ რაიონში ბლომად მოიპოვება კირქვა და თიხა, რომლებიც ცემენტის ნედლეულს წარმოადგენენ. მათ გამოსაწვავად ადგილობრივ იშოვნება საწვავი მასალები (ქვანახშირი, ნავთობი, ტორფი), აგრეთვე ჰიდროელექტროენერგია. ყოველივე ეს მაფიქრებინებს, რომ მიზანშეწონილია საბჭოთა კავშირის მთელ რიგ რაიონებში მოეწყოს მცირე სიმძლავრის ცემენტის ქარხნები, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ ცემენტი სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის ფართო მოხმარების მასალად გადავაქციოთ. ასეთმა რაიონულმა ქარხანამ რომ იმუშაოს, საკმარისი იქნება მცირე მუშახელი, დაახლოებით 50 კაცი. ამასთან თუ ქარხანას სეზონურად ვამუშავებთ, მაშინ დროებითი შეჩერების პერიოდში ეს მუშახელი გამოყენებული იქნება მოსავლის აღების ან სხვა სასოფლო-სამეურნეო კამპანიაში მონაწილეობის მისაღებად. ამიტომ წინადადება შემომაქვს ახალ ხუთწლედში დამუშავდეს წლიურად 10-25 ათასი ტონა ცემენტის გამომშვები რაიონული ქარხნების მშენებლობის საკითხი, შეიქმნას ამ პატარა ქარხნებისათვის სტანდარტული დანადგარების ტიპობრივი პროექტები იმ ვარაუდით, რომ მოკლე დროში შესაძლებელი გახდეს ასეთი დანადგარების გამოშვება.

ცემენტის რაიონული ქარხნების მშენებლობისათვის ყველა პირობა არსებობს კერძოდ საქართველოს 40-მდე რაიონში. ასევე ფართოდ შეიძლება მოეწყოს ცემენტის წარმოება სხვა მოძმე რესპუბლიკებშიც.

2. ჩვენი რესპუბლიკის საკუთარი პურით უზრუნველყოფის პრობლემის სწრაფად გადაჭრისათვის სერიოზული მნიშვნელობა აქვს კახეთის ფართობების მორწყვასა და კოლხეთის დაბლობების ამოშრობას. ამ მიზნით მიზანშეწონილად მიმაჩნია დირექტივების პროექტში გათვალისწინებულ იქნას კახეთის ურწყავი ველების მორწყვისა და კოლხეთის ჭაობების დაშრობის მეორე რიგის სამუშაოები. ეს უკანასკნელი საშუალებას მოგვცემს აგრეთვე საგრძნობლად გავადიდოთ ფართობები ჩაისა და ციტრუსებისათვის.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დირექტივების პროექტი დიდი მასშტაბით ითვალისწინებს ჰიდრომელიორაციულ სამუშაოებს. ჩვენი ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები ძალას და ენერგიას არ დაზოგავენ იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირის სხვა მეცნიერ მკვლევარებთან ერთად თავიანთი წვლილი შეიტანონ ამ დიდ საქმეში.

ა. ბირკაია,

საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში.

ფყიბულელ მეშახტეთა წინადადებები

ტყიბულელი მეშახტეები და შახტმშენებლები ფართოდ იხილავენ მეხუთე ხუთწლედის შესახებ ყრილობის დირექტივებისა და პარტიის შეცვლილი წესდების პროექტებს, ერთსულოვნად იწონებენ მათ, შემოაქვთ თავიანთი წინადადებანი და შენიშვნები.

უკანასკნელ წლებში ტყიბულის შახტებში, ისევე როგორც ჩვენი სამშობლოს ქვანახშირის დანარჩენ რაიონებში, დაინერგა მაღალი წარმადობის მრავალი სამთო მოწყობილობა. ამჟამად თითქმის ყველგან მექანიზებულია შპურების ბურღვა და აფეთქება, გამონამუშევრების ჰაერით გაწიავება და სხვ. მიუხედავად ამისა, კომპლექსური მექანიზაციის საქმე ტყიბულის შახტებში მაინც მნიშვნელოვნად ჩამორჩება. ამის მიზეზია ტყიბულის საბადოების თავისებური გეოლოგიური აღნაგობა. აქ ქვანახშირის ფენები ხასიათდება ძლიერი დაქანებითა და სისქით, რაც ართულებს საბადოს დამუშავებას, შეუძლებელს ხდის მრავალფეროვანი საბჭოთა სამთო ტექნიკის გამოყენებას. კომუნისტმა ს. ლანჩავამ დააყენა საკითხი, რომ ახალ ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებულ იქნას ძლიერი დაქანებისა და სქელფენიანი ქვანახშირის საბადოებისათვის ახალი მანქანების შექმნა და მათი დანერგვა.

— ეს საშუალებას მოგვცემს,—განაცხადა ამხ. ლანჩავამ,—მკვეთრად გავადიდოთ ქვანახშირის ამოღება, ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება, გავაუმჯობესოთ ხარისხობრივი მაჩვენებლები.

მნიშვნელოვანი წინადადება წამოაყენა სამთო ინჟინერმა ა. ტურძილაძემ. ეს წინადადება შეეხება ტყიბულის შახტებში საგენტილაციო და ზედა შტრეკების გაყვანის მექანიზაციას. მართალია, ქვანახშირის საზიდი შტრეკების გაყვანისას ფართოდ არის გამოყენებული ფუჭი ქანის თვითმტვირთავი მანქანები, მაგრამ ზედა ჰორიზონტებისა და საგენტილაციო გამონამუშევრების გათხრა ძირითადად ისევ ხელით წარმოებს, რაც ანელებს მოსამზადებელი სამუშაოების ტემპს.

რკინიგზის ვაგონების დროზე მიუწოდებლობის გამო ხშირად დიდი ზარალი მოსდით შახტებს. იშვიათი როდია შემთხვევები, როცა ქვანახშირის ბუნკერების ავსების გამო ფერხდება ქვანახშირის ამოღება, ან მეშახტეები იძულებული არიან ღია ცის ქვეშ დაყარონ ქვანახშირი, რაც იწვევს დანაკარგებსა და ხარისხის გაუარესებას. ეს ძირითადად გამოწვეულია ქუთაისტყიბულის რკინიგზის მაგისტრალის დაბალი გამტარუნარიანობით. გზის პროფილი ზღუდავს გრძელი შემადგენლობების მოძრაობას.

ამ საკითხს მიუძღვნა თავისი გამოსვლა კომუნისტმა დავით ფხალაძემ. მას საჭიროდ მიაჩნია ვაგონების ბრუნვის დასაჩქარებლად და ქვანახშირის დროზე გასატანად ქუთაის-ტყიბულის რკინიგზის შტოს რეკონსტრუქცია, ან ტყიბულ-ზესტაფონის მიმართულებით რკინიგზის ახალი ხაზის მშენებლობის დაწყება.

ქვანახშირის რეზერვების გამოვლენებასა და გამოყენებას შეეხებოდა მარკშეიდერ უ. შვანგირაძის, მეშახტეების ლ. გოქსაძის, ვ. ქათამაძის, ს. ლიტვინოვის და სხვათა შენიშვნები.

მეშახტეები აძლიერებენ მუშაობის ტემპებს, რომ სამშობლოსათვის მეტი ქვანახშირის მიწოდებით აღინიშნონ პარტიის XIX ყრილობისათვის მზადება.

ვ. ცირეკიძე,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მშრომელთა კეთილდღეობისათვის

თბილისის ბერიას რაიონის კეთილმოწყობის დარგში განსაკუთრებით დიდი სამუშაოებია განსახორციელებელი მიმდინარე წელს.

თუ შარშან რაიონის ქუჩების, ბაღ-სკვერებისა და სხვა სამუშაოებისათვის გამოყოფილი იყო 665 ათასი მანეთი, წელს გათვალისწინებულია 1.008 ათასი მანეთი. თუ შარშან ქუჩებისა და ტროტუარების კეთილმოწყობისათვის გათვალისწინებული იყო 400 ათასი მანეთი, წელს ამ სამუშაოებისათვის გამოყოფილია 550 ათასი მანეთი. გეგმის მიხედვით უნდა მოიკირწყლოს 24 ქუჩა 20.000 კვადრატული მეტრი ფართობით. საყრდენი კედლების აღდგენაზე 220 ათასი მანეთი დაიხარჯება. კაპიტალურად უნდა შეკეთდეს საყრდენი კედლები ყიფიანის, ტარიელის, გერცენის და სხვა ქუჩებზე.

პარტიის XIX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ დიდ პერსპექტივებს სახავს ჩვენი რაიონის კეთილმოწყობის შემდგომი ზრდისათვის.

ახალი ხუთწლედი ითვალისწინებს მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის შემდგომ განუხრელ აღმავლობას, ქალაქებისა და მუშათა დაბების მოსახლეობის კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაძლიერებას, წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელის, თბოფიკაციის, საქალაქო ტრანსპორტის ქსელის კიდევ უფრო გაფართოებას. მეხუთე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია კომუნალური მშენებლობის კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის გადიდება 50 პროცენტით 1950 წელთან შედარებით.

ბერიას რაიონის კომუნალური მეურნეობის გაზრდილი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად საჭიროა მეხუთე ხუთწლედში გათვალისწინებულ იქნას შემდეგი გადაუდებელი სამუშაოები: უნდა აშენდეს მოსკოვისა და პაპანინის ქუჩებზე სანიაღვრო კოლექტორები. ეს თავიდან აგვაცილებს ნიაღვრის დროს ამ ქუჩებზე დიდი რაოდენობით ქვიშისა და ღორღის ჩამოტანას. ამ ხევებიდან ჩამოსული ნიაღვარი დახურული კოლექტორით ნაწილობრივ ჩადის ლენინის ქუჩაზე, აქედან კი საქალაქოს ხევში, რომელიც ღიაა სანაპიროს ქუჩამდე. საქანელას ქუჩაზე მცხოვრებთა სანიტარულ-ტექნიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით აუცილებელია ეს კოლექტორი გადაიხუროს ლენინის ქუჩიდან სანაპიროს ქუჩამდე.

სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი ჩვენი დედაქალაქის მშვენება და სიამაყეა. აქ ყოველ ზაფხულობით მასობრივად ისვენებს ქალაქის მოსახლეობა. ამ პარკის კეთილმოწყობა ყოველწლიურად უმჯობესდება. მაგრამ იგი კიდევ უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვს. საჭიროა გავზარდოთ მისი ფერდობების გამწვანება დავითაშვილის ქუჩის ბოლოდან მოსკოვის ქუჩის ბოლომდე.

ა. ტოგოლნიძე,

მშრომელთა დეპუტატების თბილისის ბერიას რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, კომუნალური განყოფილების გამგე.

საბჭოთა არმიის მძლავრი დამკვრელი ძალა

მ. ვოლკოვი,
სატანკო ჯარების გვარდიის გენერალ-ლეიტენანტი.

დღეს საბჭოთა ხალხი, საბჭოთა არმია დღესასწაულობენ ტანკისტის ტრადიციულ დღეს.

აღნიშნავენ რა ჩვენი ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარების თვალსაჩინო საბრძოლო დამსახურებას დიდ სამამულო ომში, საბჭოთა ტანკმშენებლების დამსახურებას, სსრ კავშირის მშრომელები სამართლიანად ამაყობენ მამაცი ტანკისტებით, მათი შესანიშნავი საბრძოლო გმირობით და პირველხარისხოვანი საბრძოლო ტექნიკით.

საბჭოთა ადამიანები ამაყობენ იმითაც, რომ რუსეთი ტანკის სამშობლოა. 1911 წელს რუსმა ინჟინერმა ვ. დ. მენდელეევმა შეიმუშავა საბრძოლო მუხლუხა მანქანის ტექნიკური პროექტი. მსოფლიო ომის დასაწყისში რუსეთში აშენდა მსოფლიოში პირველი ტანკის საცდელი ნიმუში, რომელმაც წარმატებით გაიარა გამოცდა. 1915 წლის ნახევარში რუსმა ინჟინრებმა ააგეს თვლიანი ტანკის საცდელი ნიმუში. ამ საქმეში მონაწილეობდნენ დიდი რუსი მეცნიერი ნ. ე. ჟუკოვსკი და კონსტრუქტორი, ამჟამად აკადემიკოსი ა. ა. მიკულინი.

ეს შესანიშნავი გამოგონებანი ცრ განვითარებულა თვითმპყრობელური რუსეთის მოხელეების უძრაობისა და უვიცობის გამო, აგრეთვე რუსეთის მრეწველობის დაბალი დონის გამო. მხოლოდ რევოლუციის შემდეგ რუსეთის განთავისუფლებულმა ხალხმა მიიღო უსაზღვრო შესაძლებლობა მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა დარგში თავისი შემოქმედებითი ძალების გამოვლინებისათვის. ჯერ კიდევ მაშინ, როცა საბჭოთა არმია ყალიბდებოდა, მის შემადგენლობაში ჩაისახა ჯავშანნაწილებიც. პირველი ავტოჯავშანრაზმები შეიქმნა 1918 წლის თებერვალში. მათ მონაწილეობა მიიღეს ბრძოლებში ნარვასთან, ფსკოვთან და ცარიცინის ფრონტზე.

1919 წელს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა მოწოდებით მიმართა სორმოვოს ქარხნის მუშებს მოეწყოთ წითელი არმიისათვის ტანკების წარმოება. 1920 წლის აგვისტოში გამოვიდა პირველი ტანკი. ამ დროიდან საბჭოთა არმია შეიარაღებისათვის იღებს ჩვენს ქარხნებში დამზადებულ ტანკებს.

პარტია, მთავრობა და პირადად ამხანაგი სტალინი უდიდეს ყურადღებას აქცევენ ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარებისათვის კვალიფიციური კადრების მომზადებას.

საბჭოთა მთავრობის, ბოლშევიკური პარტიის, ამხანაგ სტალინის ზრუნვის მეოხებით ჩვენი ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარები საბჭოთა არმიის მძლავრ დამკვრელ ძალად გაიზარდნენ.

ჩვენი ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარების ძლიერებამ მკაფიოდ იჩინა თავი დიდი სამამულო ომის — ჩვენი სამშობლოს მიერ ოდესმე გადატანილი ყველა ომიდან ყველაზე მძიმე ომის პერიოდში.

ჩვენს ქვეყანაზე ვერაგულმა თავდასხმამ ომის დასაწყისში მთელი რიგი დროებითი უპირატესობანი მისცა მტერს. ჰიტლერელებს მოეპოვებოდათ შეჭრის უდიდესი არმია, რომელსაც ჰქონდა დასავლეთ ევროპაში საომარი მოქმედების დროს შეძენილი სამხედრო გამოცდილება. ჰიტლერული არმიისათვის მუშაობდა დასავლეთ ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოს მრეწველობა. საბჭოთა კავშირზე თავდასხმის მომენტში ჰიტლერელებს მნიშვნელოვანი რიცხობრივი უპირატესობა ქონდათ ტანკებისა და ავიაციის მხრივ. მხოლოდ საბჭოთა არმიამ, საბჭოთა ხალხმა, რომლებსაც წინ მიუძღოდა დიდი სტალინი, შეძლეს გაეძლოთ ჰიტლერელთა სამხედრო მანქანის დარტყმისათვის. სხვა გვარეობის ჯარებს შორის მედგრად იგერიებდნენ ძლიერი და ვერაგი მტრის შემოტევას ტანკისტებიც.

ამხანაგი სტალინი 1941 წლის ნოემბერში ამბობდა:

„ჩვენი ტანკები ხარისხით გერმანელთა ტანკებს სჯობს, ხოლო ჩვენმა სახელოვანმა ტანკისტებმა და არტილერისტებმა არაერთხელ უკუაქციეს გერმანელთა ნაღები ჯარები მათი მრავალრიცხოვანი ტანკებიანად. მაგრამ ტანკები ჩვენ მაინც რამდენჯერმე ნაკლები გვაქვს, ვიდრე გერმანელებს. ამაში მდგომარეობს გერმანელთა არმიის დროებითი წარმატებების საიდუმლოება“.

დიდმა ბელადმა საბჭოთა ხალხს დაუსახა პასუხსაგები ამოცანა — გაექარწყლებინა გერმანელთა უპირატესობა ტანკების მხრივ. ამისათვის საჭირო იყო საბრძოლო მანქანებისა და მტრის ტანკების წინააღმდეგ ბრძოლის ყველა საშუალების წარმოების რამდენჯერმე გაძიდება.

ომის უკვე მეორე წელს მტრის რიცხობრივი უპირატესობა ტანკების მხრივ ლიკვიდირებულ იქნა, ხოლო შემდგომ წლებში საბჭოთა არმიის ტანკების რიცხვი მნიშვნელოვნად სჭარბობდა იმ ტანკების რიცხვს, რომლებიც ჰიტლერელთა ჯარებს გააჩნდათ. ომის უკანასკნელ სამ წელს ჩვენი მრეწველობა ყოველწლიურად იძლეოდა საშუალოდ 30 ათასზე მეტ ტანკს, თვითმავალ ქვემეხსა და ჯავშნიან მანქანას.

ჩვენმა ჯავშანსატანკო და მექანიზებულმა ჯარებმა თვალსაჩინო როლი შეასრულეს დიდი სამამულო ომის გაფთრებულ ბრძოლებში, ხოლო საბჭოთა ტანკისტებმა უჭკნობი დიდება მოიხვეჭეს. მათი საბრძოლო ოსტატობა იზრდებოდა ყოველ ახალ ბრძოლაში, ყოველ ახალ ოპერაციაში.

საბჭოთა ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარების ისტორიაში სასახელო საგმირო ფურცელი ჩაწერა სტალინგრადის ისტორიულმა ბრძოლამ. მოწინააღმდეგის ჯარების დიდი დაჯგუფების გარშემორტყმისა და მოსპობის მანევრი დიდი ჯავშანსატანკო და მექანიზებული შენაერთების გამოყენებით, რაც ამ ბრძოლაში ამხანაგ სტალინის გეგმით განხორციელდა, დიდი სამამულო ომის შემდგომ ოპერაციებში საბჭოთა არმიის ოპერატიული ხელოვნების ერთ-ერთი ძირითადი ფორმა გახდა.

კურსკთან ბრძოლაში გერმანელები ცდილობდნენ დაებრუნებინათ დაკარგული ინიციატივა. ამ უდიდეს ბრძოლაში საბჭოთა ტანკისტებმა სხვა გვარეობის ჯარებთან თანამოქმედებით გაანადგურეს მტრის დამკვრელი დაჯგუფებანი, მოუსპეს მოწინააღმდეგეს რეზერვები და გერმანელ ფაშისტთა არმია კატასტროფის წინაშე დააყენეს. კურსკთან ბრძოლების გამოცდილებამ ცხადყო, რომ ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარები სხვა გვარეობის ჯარებთან თანამოქმედებით, როგორც თავდაცვაში, ისე შეტევაში მრისხანე ძალაა მოწინააღმდეგის გასანადგურებლად.

1944 წელს საბჭოთა არმიამ ჰიტლერელებს ათი გამანადგურებელი სტალინური დარტყმა მიაყენა. ამის შედეგად საბჭოთა მიწაწყალი მთლიანად იქნა გაწმენდილი გერმანელ ფაშისტდამპყრობთაგან, ხოლო საომარი მოქმედება გადატანილ იქნა ჩვენი სამშობლოს ფარგლებს გარეთ.

ამ ოპერაციებში დიდი როლი შეასრულეს ჩვენმა ჯავშანსატანკო და მექანიზებულმა ჯარებმა.

საბჭოთა ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარები ოსტატურად მოქმედებდნენ 1945 წლის ბრძოლებში. მათ გაკვეთეს მოწინააღმდეგის ფრონტი ვისლიდან ოდერამდე და გავიდნენ ბერლინის უახლოეს მისადგომებთან. დიდი სამამულო ომის დამამთავრებელ ოპერაციაში — ბერლინის აღებაში— ჩვენი მხრივ მონაწილეობდა 6.300-ზე მეტი ტანკი. ევროპაში ომი ჩვენმა ტანკისტებმა დაამთავრეს პრაღის განთავისუფლებით და მის კედლებთან მოწინააღმდეგის დიდი დაჯგუფების მოსპობით, რომელმაც უარი თქვა იარაღის დაყრაზე.

ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარების მეომრებმა თვალსაჩინო როლი შეასრულეს იმპერიალისტური იაპონიის განადგურებაში. საბჭოთა ტანკისტებმა გადალახეს დიდი ხინგანის მთაგრეხილი, მონაწილეობა მიიღეს იაპონელ იმპერიალისტთა კვანტუნის არმიის განადგურებაში და გავიდნენ წყნარ ოკეანესთან.

სამშობლომ დიდად შეაფასა საბჭოთა ტანკისტების დამსახურება. ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა: „დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა არმიის ჯავშანსატანკო და მექანიზებულმა ჯარებმა თვალსაჩინო როლი შეასრულეს ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის განადგურების საქმეში. ბრძოლების ასპარეზზე საბჭოთა ტანკისტებმა გვიჩვენეს უმაგალითო მამაცობა და ღირსეულად მოიხადეს თავიანთი ვალი სამშობლოს წინაშე“.

ჩვენი სამშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის ათასობით ტანკისტი დაჯილდოებულია მთავრობის ჯილდოებით. 1.142 ტანკისტს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, 16 მეომარს ეს მაღალი წოდება ორგზის მიენიჭა.

დიდად შეფასდა საბჭოთა ზურგის მშრომელთა დამსახურებაც, რომლებმაც ჩვენი ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარები აღჭურვეს პირველხარისხოვანი ჯავშანსატანკო ტექნიკით. საინტერესოა, რომ საბჭოთა ტანკმშენებლების მიერ 1938-39 წლებში შექმნილი ტანკები „ტ-34“ და „კვ“, თავისი მაღალი თვისებებით, მსოფლიოში იმ საბრძოლო მანქანების ერთადერთი ნიმუშები აღმოჩნდნენ, რომლებმაც გაუძლეს მეორე მსოფლიო ომის განსაცდელს ისე, რომ არ განუცდიათ არსებითი კონსტრუქციული ცვლილებები.

სსრ კავშირი ომიდან გამოვიდა უფრო განმტკიცებული და ძლიერი, პირველხარისხოვანი არმიით, განუზომლად გაზრდილი საერთაშორისო ავტორიტეტით.

მაშინ როცა საბჭოთა კავშირის ხალხები, ლენინ-სტალინის პარტიის მიერ შთაგონებულნი, მთელ ძალებს ახმარენ კომუნისტური მშენებლობის საქმეს, ახალ-ახალ წარმატებას აღწევენ მშვიდობიან შრომაში, ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტები აძლიერებენ გამალებულ შეიარაღებას, განუწყვეტლივ ადიდებენ თავიანთ არმიებს, ამზადებენ ახალ მსოფლიო ომს.

მაგრამ ყველას, ვინც აპირებს ახალი მსოფლიო ომის გაჩაღებას, უნდა ახსოვდეს, რომ ჩვენი სამშობლოს მშვიდობისა და უშიშროების სადარაჯოზე საიმედოდ დგანან საბჭოთა არმიის მეომრები, თავისი ხალხის სახელოვანი შვილები, რომლებიც ღირსეულად და პირნათლად ასრულებენ მხედრულ მოვალეობას.

წელს ჩვენი ტანკისტები და ტანკმშენებლები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ტანკისტის დღეს დღესასწაულობენ ახალი შრომითი და პოლიტიკური აქტივობის პირობებში, რომლითაც სსრ კავშირის მშრომელები ეგებებიან ღირსშესანიშნავ თარიღს — 5 ოქტომბერს — იმ დღეს, როცა მუშაობას დაიწყებს საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობა.

ეგებებიან რა თავიანთ სახელოვან დღესასწაულს, საბჭოთა ტანკისტები, ისევე როგორც სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ყველა მეომარი, ერთგულად იცავენ საბჭოთა ხალხის მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას, საბჭოთა ხალხისა, რომელიც მშვიდობისა და დემოკრატიისათვის მებრძოლთა მრავალმილიონიანი არმიის ავანგარდში დგას.

ჩაის კრეფა

მთლიანად გამოვიყენოთ შროგიდი-რეზერვები

ჩოხატაურელმა მეჩაიეებმა წელს 3.320.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი უნდა მოკრიფონ. გარდა ამისა, მათ ვალდებულება აიღეს გეგმის გადამეტებით მრეწველობას ჩააბარონ 400.000 კილოგრამი ნედლეული. მოწინავე კოლმეურნეობებმა და რგოლებმა აგროწესების დაცვით დაამუშავეს პლანტაციები, უზრუნველყვეს შემოსული ფოთლის განუწყვეტელი კრეფა და კარგი შედეგებიც მოიპოვეს. მათ შეასრულეს ფოთლის კრეფის წლიური გეგმები, დადგნენ პარტიის XIX ყრილობის სახელობის სტახანოვურ ვახტზე და ფოთოლს კრეფენ გეგმის გადაჭარბებით. მაგალითად, სოფელ ზემოხეთის შვერნიკის სახელობის კოლმეურნეობამ წლიური გეგმა 10 სექტემბრისათვის შეასრულა 110,7 პროცენტით. კარგად მუშაობენ ქვემოხეთის, ბასილეთის და ჩომეთის კოლმეურნეობები. წარმატებას აღწევენ აგრეთვე სოფელ ხიდისთავის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ის ბრიგადები, რომლებსაც ი. კალანდაძე, ვ. ბერიძე, ს. ცინტერაძე და ი. გუდავაძე ხელმძღვანელობენ. ამ კოლმეურნეობის იასონ მელუას რგოლმა გეგმის გადამეტებით მოკრიფა 300 კილოგრამი ჩაი.

სამწუხაროდ, მსგავსი მაგალითები ბევრი არ არის.

რაიონი მკვეთრად ჩამორჩა ჩაის კრეფაში. 10 სექტემბრისათვის ნედლეულის დამზადების წლიური გეგმა შესრულებული იყო 67,8 პროცენტით.

ყველაზე მეტად ჩამორჩნენ ჩოხატაურის, ბუკნარის, გორაბერეჟოულის, იანეულის და დაბლაციხის კოლმეურნეობები.

ეს იმით აიხსნება, რომ მოუწესრიგებელია შრომა, ფოთლის საკრეფად ჯერ კიდევ არ არის მობილიზებული მთელი მუშახელი, არ წარმოებს განუწყვეტელი კრეფა, რის გამო განსაკუთრებით ივნისსა და ივლისში დაუშვეს ფოთლის დიდი დანაკარგები.

ჩაისუბნის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობამ 4 თვეში 48.949 კილოგრამი ნედლეული დააკლო მრეწველობას. შრომითი რესურსები მთლიანად არ არის გამოყენებული ჩაის საკრეფად. მიმდინარე წლის პირველ პერიოდში 47 კოლმეურნეს, ხოლო მეორე პერიოდში 39 კოლმეურნეს არ გამოუმუშავებია შრომადღეების საავალდებულო მინიმუმი. საკოლმეურნეო შრომაში აქტიურად არ მონაწილეობენ ც. მეგრელიშვილი, მ. ბერიძე, ი. ჟღენტი, ლ. მდინარაძე.

წლიური გეგმის შესრულების მხრივ მდგომარეობა დამათიქრებელია. მიუხედავად ამისა, კოლმეურნეობის ხელმძღვანელი ამხანაგები (თავმჯდომარე ამხ. ნ. კილასონია, პარტბიუროს მდივანი ამხ. ო. შარაშენიძე) მაინც არ რაზმავენ ყველა ძალებს ჩამორჩენის გამოსასწორებლად. 426 მუშიდან ყოველდღიურად სამუშაოზე 180-200 მკრეფავი გადის და ისინიც სრული დატვირთვით არ მუშაობენ.

ამ მხრივ არასახარბიელო მდგომარეობაა აგრეთვე ხიდისთავის კოლმეურნეობაში, სადაც საწარმოო ბრიგადებში გაერთიანებული ყვავილა კოლმეურნე არ არის გამოყენებული ჩაის კრეფაზე. ზოგი არ გრძნობს პასუხისმგებლობას დაკისრებული მოვალეობისათვის. მერგოლურმა ნ. თავართქილაძემ 27 აგვისტოს უმიზეზოდ გააცდინა სამუშაო. კოლმეურნე მარიამ ჩიგოგიძე მოსავლელად მიჩენილ ნაკვეთში სისტემატურად არ კრეფს ფოთოლს. შეუწყნარებელია ის, რომ საკოლმეურნეო შრომაში აქტიურად არ მონაწილეობენ კოლმეურნე ახალგაზრდები გ. ლომთათიძე, ლ. გუდავაძე, ვ. თავართქილაძე, მ. სვანიშვილი.

სუსტია შრომის დისციპლინა. მიმდინარე წლის პირველ პერიოდში 179, ხოლო მეორე პერიოდში 114 შრომისუნარიანმა კოლმეურნემ არ გამოიმუშავა შრომადღეების საავალდებულო მინიმუმი. უარეს მდგომარეობას ვხვდებით ცალკეულ ბრიგადებსა და რგოლებში. გ. ლომთათიძის ბრიგადამ წელს 14.500 კილოგრამი ჩაის ფოთოლი უნდა მოკრიფოს. 10 სექტემბრისათვის მას 7.500 კილოგრამი ჰქონდა მოკრეფილი. ბრიგადაში მოუწესრიგებელია შრომა, დაბალია დისციპლინა, არ წარმოებს შემოსული ფოთლის განუწყვეტელი კრეფა, დიდია ნედლეულის დანაკარგები. ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც იმ ბრიგადაშია, რომელსაც გ. ფოცხიშვილი ხელმძღვანელობს. ამის გამო კოლმეურნეობა ძლიერ ჩამორჩა. მარტო 4 თვეში 57.800 კილოგრამი ფოთოლი დააკლეს სახელმწიფოს.

ყოველივე ეს ხდება მაშინ, როცა ხიდისთავის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ამხ. მ. კაკურია, პარტბიუროს მდივანი ამხ. გ. მათითაიშვილი) დიდძალი გამოუყენებელი რეზერვებია.

ჩოხატაურელმა მეჩაიეებმა არსებითად უნდა გარდაქმნან მუშაობა, მთელი ძალები დარაზმონ წლიური გეგმის შესასრულებლად, მაქსიმალურად გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა და ახალი საწარმოო მაჩვენებლებით შეხვდნენ ჩვენი პარტიის ყრილობას.

ვ. ჯაყელი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მოწინავე მეჩაიე

კომკავშირელი გოგუცა კოპალიანი წულუკიძის რაიონის სოფელ ივანდიდის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრია. მან კოლმეურნეთა შორის მოწინავე მეჩაიეს სახელი გაითქვა. მოსავლელად მიჩენილ ერთ ჰექტარ პლანტაციიდან უკვე მოკრიფა 3.500 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

პარტიის XIX ყრილობისათვის მზადების დღეებში კოპალიანმა უფრო გააძლიერა მუშაობის ტემპი. იგი ყოველდღიურად 40-50 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს და დღიურ დავალებას 200-250 პროცენტით ასრულებს. მის მიერ მოკრეფილი ფოთლის 90 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

კოპალიანი პირადი მაგალითით ახალისებს ჩამორჩენილებს და ეხმარება მათ უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში.

მ. კაკიტელაშვილი.

ორგანიზებულად დავიწყოთ ახალი სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში

რ. წულუკიძე,
საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საოლქო კომიტეტის მდივანი.

პარტიის შეცვლილი წესდების ტექსტის პროექტი თვითეული კომუნისტისაგან მოითხოვს: დაუღალავად „მუშაობდეს თავისი შეგნებულობის ასამაღლებლად, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შესათვისებლად“. ამ მიზნით პარტიული ორგანიზაცია, როგორც ეს წესდების პროექტშია მითითებული, აწყობს პარტიის წევრებისა და კანდიდატების მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლას, ეწევა მუშაობას მშრომელთა კომუნისტურად აღზრდისათვის.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროექტი — პარტიის XIX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ— კიდევ უფრო ამაღლებს პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობას ჩვენი კადრების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებისათვის. ჩვენმა კადრებმა წარმატებით რომ გადაწყვიტონ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ახალი გაზრდილი ამოცანები, ამისათვის საჭიროა სისტემატურად აიმაღლონ თავიანთი თეორიული და პოლიტიკური ცოდნის დონე. ახალი ხუთწლედით დასახული დიადი პროგრამის წარმატებით განხორციელება პარტიული და საბჭოთა კადრებისაგან, თვითეული კომუნისტისაგან მოითხოვს სისტემატურად და ბეჯითად იმუშაონ მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლებისათვის.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის: „აქსიომად უნდა მივიჩნიოთ, რომ, რაც უფრო მაღალია სახელმწიფოებრივი და პარტიული მუშაობის რომელიც გნებავთ დარგის მუშაკთა პოლიტიკური დონე და მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობა, მით უფრო მაღალი და ნაყოფიერია თვით მუშაობა, მით უფრო ეფექტიურია მუშაობის შედეგები...“.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობის მუშაობის მანკიერმა სტილმა და დიდმა შეცდომებმა სერიოზული ზიანი მიაყენეს მარქსისტულ-ლენინური განათლების საქმეს. ამის შედეგად დაბალი იყო პარტიული სწავლების ხარისხი, წრეებისა და სკოლების მუშაობაში საგრძნობი იყო ფორმალიზმისა და დოგმატიზმის ელემენტები. კომუნისტთა დამოუკიდებელი სწავლება ფორმალურ-ბიუროკრატიულად იყო რეგლამენტირებული. არ იყო დაწესებული მტკიცე კონტროლი კომუნისტთა თვითგანათლებაზე. სკოლებსა და წრეებში ხელაღებით აბამდნენ მსმენელებს. სრულიად არ ექცეოდა ყურადღება პროპაგანდისტთა კადრების სწორად შერჩევასა და აღზრდას. ამ უხეშ შეცდომებს ისე ღრმად და ყოველმხრივ მოეცვა მთელი პარტიული განათლების სისტემა, რომ მათი მთლიანად გამოსწორება და დაძლევა გასული სასწავლო წლის ბოლომდე არ მოხერხდა, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა სასწავლო წლის შედეგებშიც.

მაგალითად, ზუგდიდის რაიონში სრულიად ჩაშლილი იყო პოლიტიკური სწავლება და იქ სასწავლო წელიც არადამაკმაყოფილებლად დამთავრდა. საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელ ძირითადი ტიპის წრეებში გაერთიანებული 1.036 მსმენელიდან პროგრამული მასალა აითვისა მხოლოდ 226-მა.

ასეთივე მდგომარეობა იყო პარტიული პროპაგანდის დაყენების საქმეში გეგეჭკორის რაიონში. სასწავლო წლის მახვილზე რაიკომის ბიუროს ერთხელაც არ განუხილავს საკითხი პარტიული განათლების ქსელში სწავლების მდგომარეობის შესახებ. რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების მუშაკები სისტემატურად, ხანგრძლივი დროით მიმგზავრებული იყვნენ სასოფლო საბჭოებსა და კოლმეურნეობებზე სხვადასხვა სამეურნეო კამპანიების ჩასატარებლად. მაგალითად, რაიკომის ინსტრუქტორ-პროპაგანდისტი ამხ. ხუნწელია ერთი თვის განმავლობაში იყო მიმგზავრებული კოლმეურნეობაზე ომის შესამოწმებლად, თუ როგორ იღებდნენ მეწისქვილეები მინდს.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ქუთაისის ოლქის პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს პარტიული განათლების სისტემაში არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად, მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის გასაუმჯობესებლად, ახალი სასწავლო წლისათვის ორგანიზებულად შესახვედრად.

უწინარეს ყოვლისა ოლქის პარტიულმა ორგანიზაციებმა მონდომებით და ენერგიულად მოჰკიდეს ხელი პარტიული განათლების ქსელის სწორად დაკომპლექტებას. ამ ამოცანის შესრულებისათვის მუშაობა დაიწყო ჯერ კიდევ გასულ სასწავლო წელს, როცა შემაჯამებელი მეცადინეობა ტარდებოდა, და გრძელდებოდა დღემდე. თვითეულ მსმენელს ესაუბრებოდნენ ინდივიდუალურად, ითვალისწინებდნენ მისი მომზადების დონესა და სურვილს. დღეისათვის ოლქის პარტიულ ორგანიზაციებში წრეებისა და სკოლების დაკომპლექტება ძირითადად დამთავრებულია. მაგრამ ამას წინათ ჩატარებულმა შემოწმებამ დაგვანახა, რომ პარტიის ზოგიერთი რაიკომი (აბაშის, სამტრედიის, თერჯოლის) კვლავ არასერიოზულად მოეკიდა საქმეს. ბევრგან ხელაღებით შეადგინეს წრეებში გასაერთიანებელი ამხანაგების სიები. ამავე რაიონებში დღემდე არ არის შერჩეული და დამტკიცებული ზოგიერთი წრის პროპაგანდისტი.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პროპაგანდისტთა კადრების შერჩევისა და მომზადების საქმეს. ზაფხულის პერიოდში კურსებზე გადამზადებულ იქნა 150 პროპაგანდისტი. ცხადია, ამ ღონისძიებით არ შეიძლება ამოვწუროთ პროპაგანდისტებთან მუშაობა მიმდინარე სასწავლო წელს. აუცილებელია პროპაგანდისტთა თეორიული მომზადების დონის ამაღლებისა და მეთოდურად დახელოვნებისათვის მათ ყოველდღიური ხელმძღვანელობა და დახმარება გავუწიოთ.

წრეებსა და სკოლებში მსმენელთა დასწრების გაუმჯობესებისა და მეცადინეობის ხარისხის ამაღლების საქმეში საჭიროა გავზარდოთ პროპაგანდისტის როლი. დღემდე ზოგიერთი პროპაგანდისტი თავის მოვალეობად რატომღაც მხოლოდ იმას თვლიდა, რომ თვითონ მომზადებული მისულიყო მეცადინეობაზე, ხოლო მსმენელების გამოცხადება და მათ მიერ განვლილი ძალელის ათვისება თითქოს მას არ ეხებოდა. ასეთი პრაქტიკა დაგმობილ უნდა იქნას. პროპაგანდისტი პასუხისმგებელია როგორც საკუთარი, ისე მსმენელთა დისციპლინისა და პოლიტიკური მომზადების მდგომარეობისათვის. პროპაგანდისტი უნდა გახდეს პარტიული განათლების ორგანიზატორი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. იგი გაბედულად უნდა აყენებდეს საკითხს სათანადო პარტიული კომიტეტების წინაშე მის წრეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და კონკრეტულ დამნაშავეთა დასჯის შესახებ.

გადაჭრით უნდა აღმოვფხვრათ, როგორც ძავნე პრაქტიკა, როცა ზოგიერთი პროპაგანდისტი წრის მსმენელებს არ ავალებს დამოუკიდებლად იმუშაონ წიგნზე და კმაყოფილდება მსმენელთა მიერ მხოლოდ იმის შესწავლით, რასაც მათ მეცადინეობის დროს გადასცემს.

მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლის ნაკად მეთოდს წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობა წარმოადგენს. გასულ სასწავლო წელს ქუთაისის ოლქის მთელ რიგ რაიონულ პარტიულ ორგანიზაციებში ფორმალურად ეკიდებოდნენ კომუნისტების თვითგანათლების საქმეს. მხოლოდ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ზუგდიდის, ქუთაისის, ზესტაფონის, აბაშის, ქლუხორის, ზემო სვანეთის და ქვემო სვანეთის რაიონებში წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა მხოლოდ 30-35 პროცენტმა შეასრულა ინდივიდუალური სამუშაო გეგმა. ამ მხრივ უპასუხისმგებლობას იჩენდნენ გამოყოფილი კონსულტანტები. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ უფრო მეტ ეფექტს იძლევა წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის ისეთი ორგანიზებული ფორმები, როგორიც არის: პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო აქტივის მუდმივმოქმედი სემინარები და პარტიული სკოლები, მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტი.

მიმდინარე წელს ოლქის ყველა ქალაქკომთან და რაიკომთან, აგრეთვე მსხვილ საწარმო-დაწესებულებებთან შეიქმნება აქტივის სემინარები და პარტიული სკოლები. აუცილებელია, რომ ყველა ხელმძღვანელი მუშაკი მონაწილეობდეს პარტიული განათლების რომელიმე ფორმაში.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ კადრების მიერ ეკონომიური ცოდნის დაუფლების აუცილებლობა. პარტიულ თუ სამეურნეო მუშაკს, რომელიც ვერ ერკვევა წარმოების ეკონომიკის საკითხებში, იმაში, თუ როგორ იგება და ხორციელდება საწარმოო-საფინანსო გეგმა, რას ნიშნავს სამეურნეო ანგარიში, თუ მან არ იცის თვითღირებულების სტრუქტურა და მისი შემცირების გზები, შრომის ნაყოფიერების გადიდების საშუალებანი, უჭირს წარმოების ბალანსის წაკითხვა, ასეთ სამეურნეო მუშაკს არ შეუძლია უხელმძღვანელოს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის განვითარებას რაიონში, ქალაქსა და ოლქში.

სწორედ ამიტომ საჭიროა ქალაქკომებმა და რაიკომებმა მტკიცედ მოჰკიდონ ხელი კადრების ეკონომიური განათლების საქმეს. ჯერჯერობით მას ნაკლები ყურადღება ექცევა. განა ეკონომიური ცოდნისადმი ასეთი არასწორი დამოკიდებულებით არ აიხსნება ის ფაქტი, რომ პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელი წრე შარშან მთელ ქუთაისის ოლქში მხოლოდ რვა, ხოლო თვით ქალაქ ქუთაისში—ერთი იყო!

დამოუკიდებლად კი პოლიტიკურ ეკონომიას ჩვენი კადრების მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობა სწავლობს. ასევე ითქმის დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის — ჩვენი პარტიის მსოფლმხედველობის შესწავლაზე.

კადრების მიერ ეკონომიური და ფილოსოფიური განათლების ასეთ უგულებელყოფას ბოლო უნდა მოეღოს. ძველი მუშების მოგონებებიდან. რომელთაც რევოლუციური მუშაობის დიადი სტალინური სკოლა განვლეს, ნათელი ხდება, თუ როგორ სწავლობდნენ თბილისის მოწინავე მუშები ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით პოლიტიკურ ეკონომიას. სტალინის წინადადებით მუშებმა თითო-ორ-ორი შაური შეაგროვეს, რომ საწინდარი შეეტანათ და ერთი ცნობილი ბუკინისტისაგან კ. მარქსის „კაპიტალი“ წამოელოთ. მოკლე ხანში მათ მთლიანად გადაწერეს იგი და ასე, ხელით გადაწერილს სწავლობდნენ. ხშირად იმიზეზებენ: პოლიტეკონომიაში, ფილოსოფიაში პროპაგანდისტები და კონსულტანტები არა გვყავსო. ეს სწორი არ არის. ყოველ რაიონში საკმაო რაოდენობით არიან ეკონომისტები, ისტორიკოსები, აგრეთვე პარტიული სკოლის კურსდამთავრებულნი, რომელთაც პოლიტიკური ეკონომიის, ფილოსოფიური განათლების გარკვეული მინიმუმი მაინც აქვთ მიღებული. თუ ეს ამხანაგები სისტემატურად იმუშავებენ თავიანთ თავზე, ხოლო საქალაქო და რაიონული კომიტეტები საჭირო დახმარებას აღმოუჩენენ, მათ შეუძლიათ წარმატებით უხელმძღვანელონ წრეებსა და დამოუკიდებლად მომუშავეებს პოლიტიკურ ეკონომიასა და ფილოსოფიაში, აგრეთვე წაიკითხონ ლექციები და მოაწყონ კონსულტაციები.

პარტიის საოლქო კომიტეტის მიერ დასახულია ღონისძიებანი საოლქო კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის მუშაობის გასაუმჯობესებლად, აგრეთვე ქალაქკომებისა და რაიკომების ლექტორთა ჯგუფებისადმი კონტროლისა და ხელმძღვანელობის გასაძლიერებლად.

კვლავ გაგრძელდება მაღალკვალიფიციური ლექციებისა და მოხსენებების წაკითხვა სოციალისტური კანონიერების განმტკიცების და საზოგადოებრივი საკუთრების დაცვის საკითხებზე.

დარჩენილი დრო მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ ახალი სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში დავიწყოთ დროზე და ორგანიზებულად.

პარტიის ქუთაისის საოლქო კომიტეტი ყველა ზომას იღებს იმისათვის, რომ პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წელი მომზადებულად და ორგანიზებულად დაიწყოს.

საბჭოთა პროფკავშირეგი დახმარეგას უწევენ მადრასის შტატის (ინდოეთი) დამშეულ მოსახლეოგას

საკდესის კორესპონდენტმა საკავშირო პროფსაბჭოს მდივანს ამხ. სოლოვიოვს მიმართა თხოვნით—აცნობოს, თუ რა მდგომარეობაშია საბჭოთა პროფკავშირების მიერ მადრასის შტატის დამშეული მოსახლეობისათვის დახმარების გაწევის საქმე.

ამხ. სოლოვიოვმა განაცხადა, რომ როგორც ცნობილია, ანდხრას პროვინციაში დამშეულთათვის დახმარების აღმომჩენმა გაერთიანებულმა კომიტეტმა საკავშირო პროფსაბჭოს მიმართა თხოვნით სასურსათო და ფულადი დახმარება გაეწია მოსახლეობისათვის, რის პასუხად საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება ანდხრას პროვინციის დამშეულთათვის დახმარების გაწევის შესახებ. საბჭოთა პროფკავშირებმა საბჭოთა კავშირის მუშებისა და ყველა მშრომელის სახელით გადაწყვიტეს ანდხრას პროვინციაში დამშეული მოსახლეობისათვის დახმარების აღმომჩენ გაერთიანებულ კომიტეტს გაუგზავნონ: 10 ათასი ტონა ხორბალი, 5 ათასი ტონა ბრინჯი, 500 ათასი ქილა შესქელებული რძე, 250 ათასი ინდური რუპია.

აღნიშნული სურსათ-სანოვაგით დატვირთული საბჭოთა გემები ამჟამად ინდოეთისაკენ მიდიან.

საბჭოთა კავშირის მშრომელთა ამ ძმურმა დახმარებამ ინდოეთის მოსახლეობის დიდი და მხურვალე მადლობა გამოიწვია. ანდხრას პროვინციის დამშეული მოსახლეობისათვის დახმარების აღმომჩენი გაერთიანებული კომიტეტი სპასუხო დეპეშაში იუწყება:

„ანდხრას პროვინციის დამშეულთა სახელით გულითად მადლობას გამოვთქვამთ თქვენი დიდსულოვანი დახმარებისა და აღმფრთოვანებელი წერილისათვის. ვინაიდან შიმშილი სერიოზულ ხასიათს იღებს, გთხოვთ დაარჩაროთ მარცვლეულის გამოგზავნა და დაუყოვნებლივ გამოგვიგზავნოთ ფულიც“.

სოფელ ჩალაპალის გლეხებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია:

„ცნობამ საკავშირო პროფსაბჭოს მიერ ანდხრას პროვინციის დამშეული მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანი დახმარების გაწევის შესახებ სიხარულით აღავსო ჩვენი გული. მიტინგის მონაწილეები მადლობას უძღვნიან სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარე ხალხს და გულითადი მისალმების სიტყვებით მიმართავენ საკავშირო პროფსაბჭოს და დიდ სტალინს“.

ინდოეთის მთავრობამ 5 სექტემბრის ცნობაში განაცხადა, რომ მას საჭიროდ მიაჩნია თვითონ იკისროს სურსათისა და ფულადი დახმარების განაწილება ან დაავალოს ეს ინდოეთის წითელი ჯვრის საზოგადოებას. ინდოეთის მთავრობამ მოსკოვში ინდოეთის საქმეთა რწმუნებულის მეშვეობით აგრეთვე განაცხადა, რომ იგი გაანაწილებს ამ დახმარებას საბჭოთა პროფკავშირების სურვილის შესაბამისად იმ რაიონებს შორის, რომლებსაც უბედურება ეწიათ.

ამხ. სოლოვიოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა პროფკავშირები სურსათისა და ფულის გაგზავნისას ხელმძღვანელობდნენ ერთი მისწრაფებით — დახმარება აღმოეჩინათ დამშეული მოსახლეობისათვის და ამას არ უკავშირებდნენ რაიმე პოლიტიკურ მოსაზრებებს. საბჭოთა პროფკავშირებს ბუნებრივად მიაჩნდათ დახმარება გაეგზავნათ იმ ორგანიზაციისათვის, რომელმაც დახმარება ითხოვა, ამ შემთხვევაში ანდხრას პროვინციის დამშეული მოსახლეობისათვის დახმარების აღმომჩენი გაერთიანებული კომიტეტისათვის. მაგრამ საბჭოთა პროფკავშირებს გაგზავნილი დახმარების განაწილების სხვა წესის საწინააღმდეგო არა აქვს რა, ოღონდ ამ დახმარებამ მიაღწიოს იმ ადამიანებამდე, რომელთათვისაც იგი გათვალისწინებულია.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა, გაითვალისწინა რა, რომ ინდოეთის დამშეული რაიონების მოსახლეობას სასწრაფო დახმარება ესაჭიროება და რომ ინდოეთის მთავრობის განცხადებით ეს დახმარება მიეცემა იმ რაიონების მოსახლეობას, რომელთაც უბედურება ეწიათ, მიიღო გადაწყვეტილება სურსათ-სანოვაგე და ფულადი თანხები გაუგზავნოს ინდოეთის წითელი ჯვრის საზოგადოებას ანდხრას პროვინციისა და მადრასის შტატის სხვა რაიონების დამშეულ მოსახლეობაში გასანაწილებლად.

საბჭოთა პროფკავშირებს იმედი აქვთ, რომ მათი დახმარება შეამსუბუქებს მადრასის შტატის დამშეული მოსახლეობის მძიმე მდგომარეობას.

ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობისა და საბჭოთა კულტურის მომავალი ერთთვიური

სოფია, 12 სექტემბერი. (საკდესი). 15 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე ბულგარეთში მოეწყობა ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობისა და საბჭოთა კულტურის ერთთვიური. ერთთვიურს მოაწყობს ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოებათა კავშირი ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციის მონაწილეობით.

ერთთვიურის დროს მთელ ბულგარეთში გაიმართება მშრომელთა კრებები, მოეწყობა ლექციები, სუბბოტნიკები და მოხსენებები, მოწყობილია საბჭოთა კავშირისადმი მიძღვნილი გამოფენები.

ერთთვიურის დღეებში გაჩაღდება ფართო კამპანია რუსული ენის შემსწავლელი ათასობით ახალი სახალხო კურსების მოსაწყობად. ეს კურსები მეცადინეობას დაიწყებენ 1 ოქტომბერს.

ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობისა და საბჭოთა კულტურის ერთთვიურთან დაკავშირებით კინემატოგრაფიის კომიტეტი აწყობს კინოფესტივალს თემაზე „საბჭოთა კინოხელოვნება მთელ მსოფლიოში თავისუფლების, პროგრესისა და მშვიდობისათვის ბრძოლის იდეების მატარებელია“.

ჩინელ მშრომელთა პოლიტიკური აღზრდა

პეკინი, 12 სექტემბერი. (საკდესი). ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საწარმოებში, დაწესებულებებსა და სოფლის რაიონებში ფართოდ ჩაღდება მუშაობა მშრომელთა პოლიტიკური აღზრდისათვის.

როგორც გაზეთი „ენენმინიბაო“ იუწყება, ჩრდილო-დასავლეთ ჩინეთში პოლიტიკურ სწავლაში ჩაბმულია სხვადასხვა დაწესებულების 10 ათასზე მეტი მუშაკი. ყველა მოსწავლე დაყოფილია ჯგუფებად მათი ზოგადი განათლებისა და პოლიტიკური მომზადების მიხედვით.

კომუნისტური პარტიის ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევენ პროპაგანდისტულ-აღმზრდელობითს მუშაობას მშრომელთა ფართო მასებში. „ენენმინიბაო“ წერს, რომ ამჟამად ჩინეთშია 2.920 ათასი პროპაგანდისტი, ესე იგი 1 მილიონით მეტი, ვიდრე გასული წლის დამლევს იყო. პროპაგანდისტთა რიცხვის გადიდებასთან ერთად გადიდდა ლექტორების რიცხვიც, რომლებსაც პარტორგანიზაციები გზავნიან ქარხნებში, ფაბრიკებსა და სოფელ რაიონებში ლექციების წასაკითხავად საერთაშორისო მდგომარეობისა და ჩინეთის შინაპოლიტიკური ცხოვრების საკითხებზე. გაზეთის ცნობებით, ამჟამად ჩინეთში არის 68 ათასი ლექტორი—10 ათასით მეტი, ვიდრე გასული წლის დამლევს იყო.

„ენენმინიბაო“ აღნიშნავს, რომ პროპაგანდისტულ-აღმზრდელობითი მუშაობა მასებში უაღრესად უწყობს ხელს მათი პოლიტიკური შეგნების ამაღლებას. ამ მუშაობამ დიდი როლი შეასრულა კორეაფიციის, მფლანგველობისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის პატრიოტული მოძრაობის ფართოდ განვითარებას, აგრარული რეფორმის წარმატებით განხორციელებას და სხვ.

სახალხო განათლების საკავშირო მდგომარეობა საგერძნეთში

სოფია, 12 სექტემბერი. (საკდესი). ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო, იმოწმებს რა ელას პრესის სააგენტოს ცნობას, იუწყება, რომ ასეული ათასობით ბავშვი საბერძნეთში წელს მოკლებულია საშუალებას იარის სკოლაში.

სასკოლო შენობების მეტი ნაწილი, აღნიშნულია ცნობაში, დანგრეულია ან ისეთ მდგომარეობაშია, რომ ამ შენობებში ყოფნა საზიფათოა მოწაფეთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის. ტერეზა ბროსმა, რომელიც განათლების საკითხებს განაგებს ბავშვთა დახმარების საერთაშორისო ფონდში, განაცხადა, რომ საბერძნეთში სკოლების 91 პროცენტი დანგრეულია და მათი გამოყენება შეუძლებელია.

ქალაქ კომოტინში 800-ზე მეტი ბავშვი იძულებულია იმეცადინოს ისეთ შენობაში, რომელიც ყოველ წუთში შეიძლება დაინგრეს. პროვინციაში ბავშვები სწავლობენ მაღაზიებში, კაფეებში ან ცისქვეშ. ჩრდილოეთ საბერძნეთში 100 ათასზე მეტი ბავშვი გაკვეთილების დროს იატაკზე ზის. დაახლოებით 600 თემს სკოლები საერთოდ არ მოეპოვება. გრეველის ოლქში 54 სკოლამ შეწყვიტა მუშაობა, სერვიაში სკოლების 55 პროცენტი დახურულია. ასობით სკოლა დახურულია მასწავლებელთა ნაკლებობის გამო.

იაპონიის რემილიტარიზაცია

ტოკიო, 12 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთ „ტოკიო სიმბუნის“ ცნობით, იაპონიის „უშიშროების სამმართველო“ მალე მიიღებს 120 ამერიკულ თვითმფრინავს. სამმართველომ დასახა მოამზადოს საფრენოსნო შემადგენლობის ათასი კაცი.

გაზეთი „ასახი“ წერს, რომ „უშიშროების სამმართველომ“ პოლიციის სარეზერვო კორპუსის ნაწილებს შორის გაანაწილა 40 მძიმე ქვემეხი და 40 ტანკი, რომლებიც მიიღო ამერიკის ჯარების სარდლობისაგან.

სამმართველოს უფროსის მოადგილემ მასუჰარამ გუშინ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ პოლიციის სარეზერვო კორპუსის ნაწილებისათვის განზრახულია ყოველ სამხედრო ოლქში აშენდეს 30 ათასი ჰექტარი ფართობის თითო დიდი პოლიგონი, აგრეთვე რამდენიმე საშუალო და მცირე პოლიგონი.

გაზეთ „მაინიჩის“ ცნობით, სექტემბერში პოლიციის სარეზერვო კორპუსის ნაწილება ამერიკელთა ჯარებისაგან მიიღებენ 180 ქვემეხს და 160 ტანკს.

ეგვიპტის ამბები

პარიზი, 11 სექტემბერი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი კაიროდან გადმოგვცემს:

კარგად ინფორმირებულ წრეებში ცნობილი გახდა, რომ ეგვიპტის მთავრობამ გადაწყვიტა დაუყოვნებლივ შეუდგეს კონსტიტუციისა და საარჩევნო კანონის გადასინჯვას.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 12 სექტემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ კორეის სახალხო არმიის მენაღვრეთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან ერთად განაგრძობენ თავდაცვითს ბრძოლებს მტრის წინააღმდეგ.

დღეს თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის ორი და დააზიანეს ერთი თვითმფრინავი.

ამერიკელი ინტერვენტების დანაშაულობანი სამხედრო ტყვეების ბანაკებში

პეკინი, 12 სექტემბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი კესონიდან იუწყება:

მოლაპარაკებაზე ამერიკელთა დელეგაციის მეთაურმა ჰარისონმა განაცხადა, კორეელი და ჩინელი სამხედრო ტყვეები ამჯობინებენ „თავები დაიხოცონ“, ვიდრე სამშობლოში დაბრუნდნენო. მაშ რატომ „იკლავს თავს“ ამერიკელთა ბანაკებში ბევრი სამხედრო ტყვე რეპატრიაციამდე?

როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ტოკიოდან იუწყება, ამერიკის სამხედრო სარდლობამ განაცხადა, რომ 8 სექტემბერს კუნძულ კოჯედოს სამხედრო ტყვეების ბანაკში იპოვნეს კორეის სახალხო არმიის ტყვე ჯარისკაცი, რომელსაც „თავი ჩამოეხრჩო“. ცხადია, „თვითმკვლელობის“ ეს შემთხვევა იმის შედეგია, რომ ამერიკელები აწამებენ და სდევნიან სამხედრო ტყვეებს, რათა უარი ათქმევინონ მათ რეპატრიაციის უფლებაზე.

თავიანთი დანაშაულობის დასაფარავად ამერიკელებმა განაცხადეს, რომ ეს ინციდენტი „პირველი არაჩვეულებრივი შემთხვევაა“ სამხედრო ტყვეების ბანაკში. მაგრამ სულ ამ რვა დღის წინათ ამერიკელთა სამხედრო სარდლობამ აღიარა, რომ 30 აგვისტოს კუნძულ კოჯედოს ბანაკში ნახეს სამხედრო ტყვე, რომელსაც „თავი ჩამოეხრჩო“.

ჭეშმარიტება ის არის, რომ ეს „არაჩვეულებრივი შემთხვევები, როცა ამერიკელთა ულმობელი მოპყრობა აიძულებს სამხედრო ტყვეს თავი მოიკლას, სრულიადაც არ არის ერთეული შემთხვევა. თვითმფრინავებიდან ჩამოშვებულმა ბევრმა საიდუმლო აგენტმა სამხედრო ტყვეთა რიცხვიდან განაცხადა, რომ ამერიკელები ულმობლად აწამებენ ტყვეებს, რათა დაიკავონ მეტი წილი მათგანი. ზოგიერთი სამხედრო ტყვე ამერიკელებმა ამ აუტანელი წამებით თვითმკვლელობამდე მიიყვანეს. ამერიკელები ტყვეების ფაქტიურ დახოცვას „თვითმკვლელობად“ ასაღებენ. ამ ხერხით კაცისმკვლელებს იმედი აქვთ აიცილონ პასუხისმგებლობა დანაშაულობისათვის.

ამა წლის იანვარში ერთმა ტყვემ, რომელიც კუნძულ კოჯედოს სამხედრო ტყვეების 86-ე ბატალიონში შედის, არ დაანება, რომ მისთვის დალი დაესვათ და უარი თქვა ხელი მოეწერა განცხადებაზე ეგრეთწოდებული „ნებაყოფლობითი რეპატრიაციის“ შესახებ. ამის შედეგად მას სასტიკად სცემეს გომინდანელთა აგენტებმა და იგი იძულებული გახდა თავი ჩამოეხრჩო, რათა შემდგომი წამება აეცდინა თავიდან.

იმავე ბატალიონის მეორე ტყვესაც ულმობლად სცემეს ანალოგიური მიზეზით. გარდა ამისა, მას მძიმე სამუშაოს ასრულებინებდნენ, ამასთან შეუმცირეს სურსათის ულუფა. ბოლოს ტყვემ სამართლის პირი ჩაყლაპა და თავი მოიკლა.

ტყვეთა თვითეული მოკვლის შემდეგ ამერიკელები აცხადებდნენ, გამოკვლევას მოვაწყობთო. მაგრამ მათ არასოდეს არ გამოუქვეყნებიათ გამოკვლევის შედეგები. მათ ამჯერადაც განაცხადეს, ამასწინანდელ მკვლელობას „ვიკვლევთო“. მაგრამ მიუხედავად ამისა, გამოაქვეყნებენ თუ არა ამერიკელები ამ ყალბი „გამოკვლევის“ შედეგებს, რათა დაფარონ თავიანთი დანაშაულობა და აიცილონ პასუხისმგებლობა, მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ტყვეების „თვითმკვლელობის“ მიზეზია ტერორი და ულმობელი მოპყრობა. ამერიკელებს ეკისრებათ მთელი პასუხისმგებლობა ამ დანაშაულობისათვის.

სახალხო პალატის დელეგაციის ბონს გამგზავრების გამო

ბერლინი, 13 სექტემბერი. (საკდესი). როგორც დასავლეთ გერმანიის დპა-ს სააგენტოს ცნობიდან ჩანს, ბონის პარლამენტის თავმჯდომარემ გერმან ელერსმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ იგი არ აპირებს მისცეს სახალხო პალატის დეპუტატებს შესაძლებლობა თავიანთი წერილის შინაარსი გადასცენ უშუალოდ პარლამენტს. როგორც ცნობილია, ელერსმა განაცხადა, რომ იგი მიიღებს სახალხო პალატის დელეგაციას 22 სექტემბერს.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბუნდოვანი სიტყვის განყოფილების ხელმძღვანელმა ფრიც ჰაინემ თქვა, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია, როგორც ორგანიზაცია, არ მიიღებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის დეპუტატებს და არ აწარმოებს მათთან მოლაპარაკებას. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ეს პოზიცია არ ნიშნავს იმას, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია აკრიტიკებს ფედერალური პარლამენტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებას მიიღოს სახალხო პალატის დეპუტატები, რ ა მიიღოს მათგან წერილი.

ბერლინში გამოიცა „თეთრი წიგნი სამხედრო საერთო ხელშეკრულების შესახებ“

ბერლინი, 12 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ბერლინში ბუნდოვანი სიტყვის სახლში გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საინფორმაციო უწყების მიერ მოწყობილი პრეს-კონფერენცია. პრეს-კონფერენციას დესწრნენ გერმანიისა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დემოკრატიული პარტიებისა და მასობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

პრეს-კონფერენციის დამსწრეთ დაურიგდათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საინფორმაციო უწყების მიერ გამოცემული „თეთრი წიგნი სამხედრო საერთო ხელშეკრულების შესახებ“. წიგნი შეიცავს 266 გვერდს. მასში მოცემულია ბონის სეპარატული „შეთანხმებისა“ და ეგრეთწოდებული „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შესახებ პარიზის ხელშეკრულების დაწვრილებითი ანალიზი. წიგნი გვიჩვენებს, თუ რა კატასტროფული შედეგების გამოწვევა შეუძლია ამ ხელშეკრულებათა განხორციელებას.

ჰაიდერაბადის შტატის საკანონმდებლო კრების დამატებითი არჩევნები

ჯულუნდური, 12 სექტემბერი. (საკდესი). ჰაიდერაბადის შტატის საკანონმდებლო კრების დამატებითის არჩევნებში ხანუმაკონდის ოლქში გაიმარჯვა ჰაიდერაბადის სახალხო-დემოკრატიული ფრონტის კანდიდატმა რამანადხანმა, რომელმაც 15.023 ხმა მიიღო. პარტია ინდოეთის ეროვნული კონგრესის კანდიდატმა ამალაპურამ კესავა რამომ 10.214 ხმა მიიღო.

ნეკროლოგი

ი. ი. ჩხუბიანიშვილი

ხანმოკლე აგონიისა, 12 სექტემბერს გარდაიცვალა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო ფაკულტეტის დეკანი, დოცენტი იოსებ ივანეს-ძე ჩხუბიანიშვილი.

ი. ჩხუბიანიშვილი დაიბადა 1907 წელს ქ. თელავში. 1929 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სატყეო განყოფილება. 1930 წლამდე იგი მუშაობდა ბაკურიანისა და აბასთუმნის სატყეო მეურნეობაში. 1933 წელს დაამთავრა ამიერკავკასიის სატყეო ტექნიკური ინსტიტუტის ასპირანტურა. ამავე წლიდან იგი ეწევა პედაგოგიურ მუშაობას ჯერ აღნიშნულ ინსტიტუტში, შემდეგ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. 1939 წელს იგი იცავს დისერტაციას ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. 1951 წლიდან ხელმძღვანელობს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მცენარეთა ანატომიისა და ფიზიოლოგიის კათედრას.

პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ი. ჩხუბიანიშვილი ეწეოდა დაუღალავ მეცნიერულ მუშაობას. იგი მუშაობდა კავკასიისა და ეკზოტური მერქნიანი ჯიშების აიატომიისა და ფიზიოლოგიის საკითხების შესწავლაზე. 22 წლის მეცნიერული მუშაობის მანძილზე მას გამოქვეყნებული და დამუშავებული აქვს 30-ზე მეტი სამეცნიერო შრომა და სახელმძღვანელო.

1933 წლიდან ი. ჩხუბიანიშვილი მუშაობდა სატყეო მეურნეობის ფაკულტეტის დეკანად. მან ბევრი ინჟინერ-მეტყევე აღზარდა.

ი. ჩხუბიანიშვილის ხსოვნა დიდხანს იცოცხლებს მის მეგობართა და ამხანაგთა შორის.

ამხანაგების ჯგუფი.

ქალთბურთელთა შეჯიბრება სსრ კავშირის 1952 წლის პირველობისათვის

მეშვიდე დღე

ერევანი, 13 სექტემბერი. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). ფინალურ შეხვედრაში თბილისის „ნაუკას“ ქალთა გუნდმა მოუგო კიევის ფიზკულტურის ინსტიტუტის კალათბურთელთა კოლექტივს ანგარიშით 51 : 28.

პირველ ექვსეულში მებრძოლ ვაჟთა გუნდებიდან 13 სექტემბერს დილით ერთმანეთს შეხვდნენ კაუნასის „ელვარისისა“ და კიევის ოფიცერთა საოლქო სახლის გუნდები. შეჯიბრება დამთავრდა კიეველთა დამარცხებით ანგარიშით 24 : 71. საინტერესო აღმოჩნდა პირველ ფინალურ ჯგუფში მონაწილე ლენინგრადის „სპარტაკისა“ და რიგას „დაუგავას“ ქალთა გუნდების შეჯიბრება. გაიმარჯვეს რიგელმა კალათბურთელებმა 35 : 32.

ამავე დღეს გაიმართა შეჯიბრება თბილისისა და მოსკოვის „დინამოს“ ვაჟთა გუნდებს შორის. პირველ ხანებში მოსკოველები აქტიურად თამაშობდნენ, მაგრამ მალე თბილისელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 72 : 46.

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

პირველი გვერდი: მოწინავე — საქართველოს კ. პ. (ბ) მეთხუთმეტე ყრილობა. მეორე მოწინავე — საბჭოთა ტანკისტების დღე. ბრძანება სსრ კავშირის სამხედრო მინისტრისა.

მეორე და მესამე გვერდი: საერთო სათაურით „საბჭოთა საქართველო შრომით ვახტზე“ წერილები: ა. გაგნიძე — ქართული ფოლადის მილები. გ. მამუჩაშვილი — გორის ქსოვილები. ტყვარჩელის ქვანახშირი. შ. გაბისონია—ვალდებულებების განაღდება. გ. ცხადაია — კომუნიზმის დიდი მშენებლობისათვის. ახალი ხუთწლედის ადამიანები. ვ. ვაჭარაძე, ბ. კაპანაძე — ჩაის საბჭოთა მეურნეობაში. ლ. წულუკიძე — მეტი ციტრუსები ქვეყანას. ჰ. სვანიძე — სურნელოვანი ქართული თამბაქო. ჰ. ალექსიძე — გამარჯვების სიხარული.

მეოთხე გვერდი: უცხოეთის ინფორმაციები.

გასწორება

დუშეთის რაიონის კოლმეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარების წლიური გეგმის შესრულების შესახებ „კომუნისტის“ 10 სექტემბრის ნომერში დაბეჭდილი მატიკის უკანასკნელი აბზაცი უნდა იკითხებოდეს ასე: „რაიონის კოლმეურნეობებმა კალდებულება იკისრეს სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩაბარონ 1.000 ცენტნერი მატყლი“.

რედაქტორი გ. მერკვილაძე

ტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ 1951-52 სასწავლო წლის სახელმწიფო გამოცდების საშემოდგომო სესიები ყველა ფაკულტეტზე დანიშნულია მომდინარე წლის 1-დან 31 ოქტომბრამდე.

წერილობითი განცხადებები იმ პირთაგან, რომელთაც სურთ სახელმწიფო გამოცდების ჩაბარება, შემოტანილ უნდა იქნას უნივერსიტეტის რექტორის სახელზე ა. წ. 25 სექტემბრამდე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. დიდებულიძის სახელობის ენერგეტიკის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს ჰიდროტექნიკის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებები სათანადო საბუთებთან ერთად მიიღება ინსტიტუტის დირექციაში (ქ. თბილისი, ძერჟინსკის ქ. № 8, პირველი სართული).

კონკურსის ვადა—15 დღე ამ განცხადების გამოქვეყნებიდან.

მეუღლე თამარ, შვილები ევა, რეზო, ძმა ვასილ, რძალი ლილი, ძმისწულები რეზო, ირა, ომარ, ვასო იუწყებიან **სოსო ივანეს-ძე ჩხუბიანიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 14-IX, 3 ს. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შენობიდან, უნივერსიტეტის ქ. № 35.

მშობლები მატრონე, ვლასი, მეუღლე ევდოკია, და ეუჟენა ოჯახით, ძმები პანტელეიმონ, ლაზარე, ალიოშა, რძლები ნინო, ეკატერინე, ძმისწულები ლიანა, ლამარა, ლოლა, თამარ ცაბაძეები იუწყებიან **თეოფილე ვლახის-ძე ცაბაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 14-IX ბაჯითში (საჩხერის რაიონი).

მეუღლე მარიამ, შვილები ოსეფ, მიშა, თამარ, ეკა გიორგი, რძლები მარგო, მარო და შვილიშვილები იუწყებიან **სპირიდონ ივანეს-ძე ბურდიაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 14-IX, 4 ს. საბურთალოს ქ. № 4.

ქ. თბილისის ვაჟთა მე-6 საშუალო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი იუწყებიან **პლატონ ებრალიძის** გარდაცვალებას.

გ. ჯაბუა, კ. თარგამაძე, გ. აბრამიშვილი, დ. საბაშვილი, შ. ლომინაძე, ა. ფირცხალავა, ვ. ვარაზაშვილი, ი. ცალკინი, გ. ურუშაძე, ი. ბენდუქიძე, ვ. მარდანია, გ. რაზმაძე, მ. ლასურაშვილი, ნ. ჩაჩავა, მ. ძამაშვილი, ა. ავაქოვი, კ. ტიმოფეევი იუწყებიან დოცენტ **სოსო ივანეს-ძე ჩხუბიანიშვილის** გარდაცვალებას.

დები ნინო, ფეოდორა, ლუბა, სიძეები მ. ლომჯარია, ლ. ყუფარაძე, ბიძა შალვა, ბიძაშვილი ალექსანდრე ოჯახებით იუწყებიან **პლატონ ებრალიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 14-IX, 4 ს. ხომასურიძის ქ. № 4.

შვილები პეტრე, ეკატერინე, კუკური, რძალი თ. გეგენავა, სიძეები ა. ჯორბენაძე, შ. გოორგომიანი, შვილიშვილები მარინე, ბესიკ, თეიმურ იუწყებიან **კესარია კიმოთეს ასულ ფირცხალაშვილი-სიხარულიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 14-IX. 3 ს. გრიბოედოვის ქ. № 30.

საქართველოს შამპანური კომბინატის ღვინის მოყვის ქარხნის თანამშრომლები იუწყებიან **მარიამ დავითის ასულ ქურხულის** გარდაცვალებას.

საქართველოს რადიოგადაცემათა 15 სექტემბრის პროგრამა

რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით: 06.25 — ქართული ხალხური სიმღერები; 07.30 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები; 09.20 — კამერული მუსიკის კონცერტი; 17.15—ქართული მუსიკის კონცერტი; 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის: კ. გოგიავის „მოთხრობა „შვილობილი“; 18.15 — კონცერტი; 19.20 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი; 19.45 — საუბარი: „ბიბლიოთეკების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“.

რადიოსადგურებით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით: 20.30 — რადიოსადგურებით — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის; 20.30 — ქალაქის ქსელით — არიები ოპერებიდან; 20.45 — ქართული საფორტეპიანო მუსიკის კონცერტი; 21.00 — საუბარი: „შემოქმედებითი მარქსიზმის ძალა“; 22.40 — ლიტერატურული გადაცემა: „ალ. ჭეიშვილის ნარკვევი „ოქროს ფსკერი“; 23.00 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი; 00.05 — საცეკვაოები საბჭოთა კომპოზიტორების ოპერებიდან და ბალეტებიდან.

დღეს თეატრებში

მარჯანიშვილის სახელობის — მარინე (დილით), ვარდი ასფიტცლოვანი (საღამოს); **გრიბოედოვის სახელობის** — მაკარ დუბრავა (დილასაღამოს); **მუსიკალური კომედიის** — ბრწყინვალე მომავალი (დილას), თბილისის ცის ქვეშ (საღამოს); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — გაქვავებული ქალაქი (აბონემენტი 16, 50, დასაწყისი 12 საათზე, აბონემენტი 11, 23, 29, დასაწყისი 3 საათზე ფილარმონიის შენობაში); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — მოალისფრო ყვავილი (დასაწყისი 11 საათზე): მისი მეგობრები (დასაწყისი 7 საათსა და 30 წუთზე), **ხანკულტურის** — მშვიდობის სიმფონია.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, **განყოფილებებისა:** პარტიული ცხოვრების — 3-81-84, პროპაგანდისა—3-57-61, მრეწველობისა—3-81-84, სოფლის მეურნეობის — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, ადგილობრივი ინფორმაციისა და უცხოეთის ინფორმაციისა—3-80-83, კულტურისა და ყოფაცხოვრების, კორესპონდენტთა ქსელის, საქმეთა მმართველობის — 3-80-84, მშრომელთა წერილების—3-73-24, განცხადებებისა—3-51-81, გამომშვებისა—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. ბ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 05526